# საქართველოს რესპუბლიკა



ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ,
ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃⴍⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ,
ⴒⴗⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ
ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ
ⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 11 ივნისი, 2014 წელი.

№111 (7492)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


# ლენინის პოლიტიკა და ლინჩის სამართალი

4




## დღეს ჩხუბობენ, ხვალ ტირიან, ასეთია ნაცთა სტილი!

5

## ვინ და რით მოხიბლა ასე „ხიბლმა“?!

3

მიმართვა ქვეყნის მოსახლეობას, საქართველოს მთავრობას, პარლამენტს: საშინელ ტრაგედიას ნუ დავატრიალებინებთ!

## რის საფუძველზე ამტკიცებს ირმა ინაშვილი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ არის მთავარი ოპოზიციური ძალა?

5



## მას რომ სათქმელი დაუგროვდა...

14

### სახელოვან თარიღს ულოცავენ

## ბუმბერაზი ქართველი ხელოვანი

**მერაბ ბერძენიშვილი – 85**



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მთელი სულითა და გულით, დიდი პატივისცემით ულოცავს სახელოვან საიუბილეო თარიღს – დაბადების 85 წლისთავს – თავის საპატიო აკადემიკოსს, ბატონ **მერაბ ბერძენიშვილს,** მსოფლიოში დიდად სახელგანსმენილ სკულპტორს, დიდებულ პიროვნებასა და მგზნებარე მამულიშვილს, ბუმბერაზ ხელოვანს, რომლის ჭეშმარიტად სახალხო შემოქმედებაც ყოველთვის ჯიუტად ამკვიდრებ-და სიკეთეს და პრინციპულად ებრძოდა ყოველგვარ ბოროტებას.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## ომარ მარგველაშვილი:



## გული მიკვდება, როცა თბილისში ჩავივლი და...

6

## ვახტანგ დავითაია:

7



## არქიტექტურა არქიტექტორებს უბრუნდება!

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

№111. ოთხშაბათი, 11 ივნისი, 2014 წელი.

**„საუკუნის გზა“**

# სამშობლოს სიძლიერე მთის სიძლიერეზეა დამოკიდებული



**„დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამ საქმეს თქვენი ჩართულობით აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე, რადგან მთა არის ჩვენი ქვეყნის სიძლიერე, ჩვენი სიამაყე. მთა ყველაზე კარგად ინახავს ქართულ სულს, ქართულ გენს, ჩვენს ადათწესებს და ჩვენი ვალია, რომ მას მოვუფრთხილდეთ, მოვუაროთ, რომ არ დავკარგოთ უნიკალური ტრადიციები და შევინარჩუნოთ ჩვენი თვითმყოფადობა. და თუ მთა იქნება ძლიერი, მე მჯერა, რომ ჩვენი სამშობლო იქნება ძლიერი“. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბარისახოში, „საუკუნის გზის“ პრეზენტაციაზე განაცხადა, რომელსაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც დაესწრო. პრემიერის განცხადებით, თუ მთა იქნება ძლიერი, სამშობლო იქნება ძლიერი.**

მანვე ილია მეორეს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბიზნესმენებს თხოვნით მიმართა, რათა ქვეყნის რაიონების მატერიალური განვითარება თავიანთ თავზე აიღონ.

ეს განცხადება უწმინდესმა ხევსურეთში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად სტუმრობისას გააკეთა.

უწმინდესმა ბერ-მონაზვნებსაც მიმართა და აღნიშნა, რომ სასაზღვრო რაიონებში ახალი მონასტრები უნდა აშენდეს, რათა ჩვენი საზღვრები გავაძლიეროთ.

**„მე ბედნიერი ვარ, რომ დღეს ვიმყოფები ხევსურეთში. ბავშვობიდან მესმოდა ჩემი მშობლებისგან, რომ ხევსურეთი და ხევსურები, ეს ისეთი კუთხეა, ისეთი ხალხია, რომელიც იცავს ჩვენს კულტურას, ჩვენს წესადათს და აი, დღეს ჩვენ ვიმყოფებით აქ. ვამაყობ იმით, რომ გვყავს მრავალი თავდადებული და ცნობილი ხევსური ჩვენს ისტორიაში, დღევანდელ დღესაც. მინდა, მივმართო ჩვენ ბერ-მონაზვნობას – სასაზღვრო რაიონებში უნდა შეიქმნას მონასტრები, რომ ჩვენ გავაძლიეროთ და დავიცვათ ჩვენი საზღვრები. მე ასევე მინდა, მივმართო ჩვენს ბიზნესმენებს — ყოველმა ბიზნესმენმა უნდა აიღოს თავის თავზე რომელიმე რაიონი, იქნება ეს მთა თუ არა. მათ უნდა აიღონ თავიანთ თავზე და დაეხმარონ რაიონების მატერიალურ განვითარებას. მე იმედი მაქვს, რომ ყველა ბიზნესმენი შეისმენს ჩემს მოწოდებას და ჩვენი საქართველო იქნება ბედნიერი“,** — განაცხადა უწმინდესმა.

# მარგველაშვილი ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნების მადლიერია

**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ნატოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობას ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის გამო მადლობას უხდის.**

პრეზიდენტის ადმინისტრაცია აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

**— მივესალმებით იმას, რომ მათ კიდევ ერთხელ გამოხატეს საკუთარი პოზიცია და დაგმეს ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში ჩატარებული ე.წ. საპარლამენტო არჩევნები. ცხინვალის რეგიონიდან დევნილ მოქალაქეებს მრავალი წელია, წართმეული აქვთ საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების ლეგიტიმური უფლება, რეგიონში დარჩენილი მოქალაქეების უფლებები კი საოკუპაციო რეჟიმის მიერ ყოველდღიურად ირღვევა. საერთაშორისო დამკვირვებლებს, მათ შორის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს, ოკუპირებულ რეგიონებში შესვლისა და ადამიანის უფლებათა მძიმე ვითარების ასახვის შესაძლებლობა არ ეძლევათ. კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ 2014 წლის 8 ივნისს ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში უკანონოდ გამართული ე.წ. საპარლამენტო არჩევნები საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების სრულ უპატივცემულობასა და უგულებელყოფას წარმოადგენს,** — აღნიშნულია საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაში.



# აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტებს პრეზიდენტის მრჩევლები შეხვდნენ

**საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მრჩევლები სოფიო შამანიდი და ივანე მაჭავარიანი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სომხური და აზერბაიჯანული ეთნიკური წარმომავლობის სტუდენტებს შეხვდნენ.**

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრეზიდენტის მრჩევლებმა სტუდენტებთან ევროინტეგრაციის, ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობასა და იმ სარგებელზე ისაუბრეს, რომელსაც ქვეყანას ხელშეკრულების ხელმოწერა მოუტანს.

როგორც მათ განაცხადეს, ამ საკითხებთან დაკავშირებით, აუცილებელია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირება და ამ პროცესში ახალგაზრდების ჩაბმა სასურველი შედეგის მომტანი იქნება.

ივნისის ბოლოს სტუდენტები პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთს ეწვევიან და აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე მომზადებულ ბუკლეტებს დაარიგებენ.

თავის მხრივ, ახალგაზრდებმა მზადყოფნა გამოთქვეს პროექტში მონაწილეობის თაობაზე და აღნიშნეს, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები ძალზე მნიშვნელოვანია. სოფიო შამანიდთან და ივანე მაჭავარიანთან შეხვედრისას მათ იმედი გამოთქვეს, რომ შეხვედრები მომავალშიც გაიმართება.

**ინტერპრესი**

**როგორია რეალობა?**

# რა იგულისხმება „იმაზე მეტში?“

## მინისტრები „საქსტატის“ წინააღმდეგ დაირაზმნენ

**დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების თაობაზე „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებულმა მონაცემებმა, მთავრობაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. აშკარაა, რომ მინისტრთა გამონათქვამები და სტატისტიკოსთა მონაცემები დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. იმის ნაცვლად, რომ რეალური მიზეზების ძებნა დაეწყოთ, მინისტრებმა სტატისტიკის სამსახურს ავი თვალით დაუწყეს ყურება. როგორ დასრულდება სამთავრობო დაპირისპირება, სულ მალე გამოჩნდება — ან სიტყვებში, ან ციფრებში.**

ეკონომიკის მინისტრს არ დაუმალავს, რომ „საქსტატთან“ მწვავე კითხვები აქვს. გიორგი კვირიკაშვილს, ოფიციალური ინფორმაცია კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის 23 ათასით შემცირების თაობაზე, მეტად ემწარა და სტატისტიკის სამსახურის მიმართ პრეტენზიებიც გაუჩნდა. მას აინტერესებს, რამდენად „დაფარა „საქსტატმა“ ის ეკონომიკური აქტიურობა, რომელიც არსებობს“.

**„ჩემთვის გასაკვირია ამ ტიპის ინფორმაციის გამოქვეყნება, რადგან რიგი მიმართულებით ძალიან სერიოზული აქტივობაა. ვერ გეტყვით, შემცირებულია თუ არა სამუშაოს რაოდენობა. სტატისტიკის დეპარტამენტს, ალბათ, უნდა დავუჯეროთ, მაგრამ რა მეთოდოლოგიით დაითვალეს მათ მონაცემები და მოხდა თუ არა დაფარვა მთელი იმ ეკონომიკური აქტიურობის, რომელიც არსებობს, ეს ჩემთვის კითხვის ნიშნებს ჰბადებს.**




**ბევრი მიმართულებით არის ძალიან სერიოზული გამოცოცხლება. არც ერთი დიდი პროექტი გაჩერებული არ არის, გარდა თბილისის შემოვლითი პროექტისა, სადაც დამატებითი ანალიზი კეთდება. უამრავი ახალი პროექტია დაწყებული.**

**მარტო თბილისში მიმდინარეობს შვიდი დიდი სასტუმროს მშენებლობა, პატარებზე საუბარი აღარ მაქვს. ბათუმში ასევე ოთხი ბრენდი სასტუმრო შენდება, გუდაურში არის გაზრდილი აქტივობა. ყაზბეგში მიმდინარეობს ახალი პროექტი, რომელიც მას აქცევს ზამთრის კურორტად და, შესაბამისად, იქ ზამთრის კურორტის ინფრასტრუქტურის განვითარება ხდება. ბაკურიანში არის ფრანგების მიერ დამტკიცებული ახალი პროექტი და მიმდებარე სოფლებისა და ახალი ტრასების განვითარებაზეა საუბარი. ძალიან ბევრი მიმართულებითაა მომატებული აქტივობა და დამერწმუნეთ, რომ ტენდენცია იქნება მხოლოდ და მხოლოდ დადებითი“,** — განაცხადა კვირიკაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, 2013 წლის IV კვარტლიდან 2014 წლის პირველ კვარტლამდე დასაქმებულთა რაოდენობა 519 ათასიდან 495.7 ათასამდე შემცირდა. ეს ტენდენცია ყველა სპეციალისტმა შეჩერებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს დაუკავშირა.

ამაზე კი რეგიონალური ინფრასტრუქტურის ახალი მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი განაწყენდა და მსწრაფლ სამინისტროში ჟურნალისტები საპრესკონფერენციოდ იხმო. მინისტრს აინტერესებდა, გააჩნია თუ არა „საქსტატს“ არგუმენტი იმისა, რომ სამუშაო ადგილების შემცირება ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერებასთან არის დაკავშირებული.

**„ჩვენ გაგვყავს გზები იმაზე მეტი, ვიდრე ადრე გადიოდა ერთდროულად, ჩვენ ვახორციელებთ იმაზე მეტ მუნიციპალურ პროგრამას, ვიდრე ოდესმე ხორციელდებოდა, გვაქვს წყლის პროექტები და 24-საათიან წყალმომარაგებას ვგეგმავთ საქართველოს შედარებით მცირე ქალაქებშიც კი, გვაქვს მყარი ნარჩენები სრულიად ახალი სტრატეგია.**

**კლიმატურმა პირობებმა არ შეგვიწყო ხელი, რომ სრულად აგვეთვისებინა თანხები, მაგრამ მაინც იმაზე მეტი ავითვისეთ, ვიდრე წინა წლებში ითვისებდა ვინმე“,** — განაცხადა ელგუჯა ხოკრიშვილმა.

სხვა მინისტრებისა არ იყოს, ხოკრიშვილის ფიციც გასაკვირია. როცა მთელი საქართველო ავტომაგისტრალზე მიმდინარე მუშაობის ტემპს უყურებს და მთელი იმერეთი კი — წყალტუბოში მიმდინარე რეაბილიტაციის პროცესს, რომელ 24-საათიან მუხლჩაუხრელ შრომაზე შეიძლება იყოს საუბარი? როცა არც სტატისტიკურად, არც ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში და არც უშუალოდ თვალით არ ჩანს გაკეთებული საქმე, „იმაზე მეტში“ რა იგულისხმება, ვინმემ თუ იცის?

**ბექა დანელია**

**მონიტორინგი**

# შოკთან გამკლავების უნარი

## საქართველოს ფინანსური სექტორის შეფასების შედეგები

**საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა ფინანსური სექტორი შეაფასა და მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა. პროგრამის ფარგლებში შეფასება ორი მიმართულებით მიმდინარეობს: ფინანსური სექტორის სტაბილურობის ანალიზი და მისი წვლილი ქვეყნის ზრდასა და განვითარებაში.**

პირველი კომპონენტის ფარგლებში შეაფასეს საბანკო და არასაბანკო ინსტიტუციების მდგრადობა, დადგინდა საბანკო, სადაზღვევო და სხვა ფინანსური ბაზრების ხარისხის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. ჩატარდა სისტემური სტრესის მიმართ ფინანსური სექტორის მდგრადობის ტესტი.

მეორე კომპონენტის ფარგლებში, შეფასდა საკანონმდებლო ჩარჩოსა და ფინანსური ინფრასტრუქტურის ეფექტურობა, ბარიერები კონკურენციის სფეროში, კაპიტალური ბაზრის განვითარება, ფინანსური სექტორის წვლილი ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში.

მისიის დასასრულ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი შემდეგ დასკვნამდე მივიდნენ: **საქართველომ წარმატებით გაუძლო სხვადასხვა შოკს, მათ შორის, რუსეთთან კონფლიქტს, გლობალურ ფინანსურ კრიზისს, პოლიტიკურ ცვლილებებსა და რეგიონალურ არასტაბილურობას. უკანასკნელ წლებში საქართველოს საბანკო სისტემამ მდგრადობა გამოავლინა, თუმცა, ამავე დროს, იკვეთება სხვადასხვა რისკი და სისუსტეც, რომელთაც მუდმივად აქტიური მონიტორინგი და მართვა ესაჭიროება. ამ რისკებს შორისაა არსებული სისუსტეები, რომლებიც უკავშირდება დოლარიზაციას (ანუ იმას, რომ ანაბრების და სესხების დიდი ნაწილი დოლარშია დენომინირებული), ასევე ლიკვიდობასა და სესხების კონცენტრაციას. ამ ფაქტორებს შეუძლია შეასუსტოს სხვადასხვა შოკთან სისტემის გამკლავების უნარი, თუმცა, ამ ეტაპზე აღნიშნული რისკები ძირითადად მინიმიზებულია.**

დასკვნის თანახმად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წარმატებით დაუახლოვა საბანკო სისტემის რეგულირებისა და ზედამხედველობის სისტემა საერთაშორისო სტანდარტებს, კერძოდ, რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის მექანიზმი, თუმცა, სსფ-სა და მსოფლიო ბანკს მიაჩნიათ, რომ საქართველოში რეგულირების სისტემის შემდგომი გაძლიერება მიზანშეწონილია.

რაც შეეხება ფინანსური სექტორის როლს საქართველოში ინვესტიციების, დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, იმის მიუხედავად, რომ ფინანსური სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კერძო სექტორის დაფინანსებაში, **დასკვნის ავტორთა აზრით, საჭიროა ფინანსური სექტორის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დასახვა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა ფინანსური სექტორი უფრო მეტად უწყობდეს ხელს კაპიტალდაბანდებასა და გრძელვადიანი დანაზოგების ზრდას.**

რეკომენდაციები შეეხო ასევე არასაბანკო საფინანსო სექტორს. ანგარიშის მიხედვით, ეს სექტორი შედარებით მცირემასშტაბიანია, აკლია ფინანსური შესაძლებლობები და მათი როლი გამოსაკვეთია მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების კუთხით. ამასთან, არსებობს ბევრი დაურეგულირებელი ფინანსური მომსახურების მომწოდებელი.

მისია მიესალმება საქართველოს მთავრობის რეფორმებს, რომლებიც მიმართულია მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებისკენ, ასევე არასაბანკო სექტორის კონკურენციის ზრდას და სადაზღვევო სექტორისა და ფასიანი ქაღალდების მიმართულებით დაგეგმილ ნაბიჯებს.

**ირინა გურული**
**რადიო „თავისუფლება“**

SOS! SOS! SOS!



შპს „ხიბლით“ ამჯერად აშკარად ვერ მოვიხიბლეთ!..



# ვინ და რით მოხიბლა ასე „ხიბლმა“?!

## მიმართვა ქვეყნის მოსახლეობას, საქართველოს მთავრობას, პარლამენტს: საშინელ ტრაგედიას ნუ დაავატრიალებინებთ!

**ინტერნეტსივრცეში დიდად „პოპულარულია“ იტალიის ქალაქ მაიერატოში მომხდარი ფაქტი: 2010 წელს მთა მოულოდნელად დაიძრა, დაიშალა და შუაზე გაყო ქალაქი (ამ და ბუნების სხვა კატასტროფების, მათ შორის - მსოფლიოში ჰიდროელექტროსადგურებზე მომხდარი ტრაგიკული შემთხვევების შესახებ ინფორმაცია ნებისმიერს შეუძლია თავისუფლად მოიძიოს ინტერნეტსივრცეში)...**

**დარიალის ხეობის ტრაგედია კი აგერ, ჩვენს თვალწინ მოხდა!..**

**შესაძლოა, უფრო „უკეთესი“ სენსაციის შეთავაზება სურთ მსოფლიო საზოგადოებისათვის შპს „ხიბლის“ მესვეურთ და ჰეროსტრატეს დიდების (შესაძლოა, სხვა რამისაც!) იმ მაძიებლებსაც, რომელნიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულნი არიან, ჩვენი აზრით, საღი გონებისთვის შეუთავსებელ ფაქტთან!“**

საქმე ის გახლავთ, რომ ენგურჰესის 271,5 მეტრის თაღოვანი კაშხლით დაგუბებული ერთი მილიარდი კუბური მეტრი მოცულობის(!) წყალსაცავის მარცხენა ფერდის ყველაზე სუსტ(!) და სახიფათო(!) მონაკვეთზე, ხოკოს ტერიტორიაზე, **2007 წელს(!) აღებული** ლიცენზიის ძალით, **თაბაშირის კარიერი გახსნეს!**

ეს კარიერი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, საზოგადოებრივი აზრის, პრესის და, როგორც ჩანს, მომავალი ახალი ხელისუფლების შიშით, დაიხურა, ტექნიკა გაიყვანეს, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად და გასაკვირად, ადგილობრივი არჩევნების წინ(!), დაახლოებით მაისის ბოლოდან, ისევ შეუდგნენ ფერდის რღვევას!.. **როგორც ჩანს, „კოჰაბიტაცია“ სადღაც წარმატებით შედგა!..**

ეს მონაკვეთი მდინარე მაგანის მხარეს მეწყერი ადგილია (აშკარად ჩანს! ახლახან ასფალტდაგებული მესტიის გზაც რამდენიმე სანტიმეტრით უკვე დაწეულია!), ენგურის ხეობის წყალსაცავის მხარეს კი მუდმივ მატებადი **„ჭებით“** და ფართო **ორმოებით** იყო მოფენილი (რამდენიმე დღესაც არის „გადარჩენილი“ ტრაქტორითა და ექსკევატორით ნგრევა-ჩიჩქნას), რაც იმაზე მიუთითებდა და მიუთითებს, რომ ფერდის წიაღი, სავარაუდოდ, მღვიმეებით არის დაქსელილი(!)

თავის დროზე აქ სათანადოდ აღჭურვილი სერიოზული სადამკვირვებლო ლაბორატორია მოქმედებდა, მაგრამ არეულობის წლებში გაიძარცვა და განადგურდა...

**ენგურჰესის ამ უზარმაზარი „ზღვის“ წყალმა მაგანის ხეობისკენ სულ პაწაწკინტელა ნაპრალიც რომ იპოვოს, შეიძლება, დაგუბებულმა ენგურმა ფერდი გამოარღვიოს. ამას რა ტრაგედია მოჰყვება წყალსაცავს ქვემოთ კოლხეთის დაბლობის, შავიზღვისპირეთის ქალაქებისა და დასახლებებისთვის, რამდენ ათას ადამიანს შეიწირავს, ვინმეს ახსნა სჭირდება?!**

**ჩვენი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ყოველგვარი „ჩხირკედელაობა“ ენგურის წყალსაცავისა და მდინერე მაგანის ხეობებში და დაუყოვნებლივ აღდგეს იქ სათანადო სადამკვირვებლო ლაბორატორია!**

როცა ამ დღეებში დარიალის ხეობაში ტრაგედია მოხდა, ჩვენი მთავრობის პირველი(!) განცხადება ეს იყო: „ჰესის მშენებლობას ამ ტრაგედიასთან არავითარი კავშირი არა აქვსო!“

მით უარესი: ამან კიდევ უფრო არ უნდა ჩაგვაფიქროს(?!): **თუ ადამიანის ჩაურევლადაც შეიძლება მოხდეს ასეთი კატასტროფები, შე ოჯახაშენებულო:**

შეეშვი, გაჩერდი, ნუ უჩხიკინებ!!!

ჩვენ კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ: შეიძლება მოხდეს გამოუსწორებელი კატასტროფა, შეიძლება არც მოხდეს, მაგრამ...

ამიტომაც მივმართავთ სრულიად საქართველოს:

**ღირს კი შპს „ხიბლის“ (და კიდევ, ვინც გინდა იყვნენ!) მოგება ასეთ რისკად?!**

**დავით ჭიჭინაძე,**
**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;**

**სოსო ენგურელი,**
**ქ.ჯვარის ყოფილი გამგებელი;**

**მურად ჭანტურია,**
**ენგურჰესის მშენებლობის გაზეთ „ენგურის ჩირაღდნის“ ყოფილი რედაქტორი, მწერალი.**

**P. S. ეს წერილი რედაქციებში დასაგზავნად მზად გვქონდა, როცა „ფეისბუქის“ მეშვეობით ყოფილი ენგურჰესელი მშენებლის, „თბილჰიდროპროექტის“ ენგურის კომპლექსური ექსპედიციის ჰიდროლოგიური პარტიის მაშინდელი უფროსის ბ-ნ ნუგზარ შეროზიასაგან ასეთი კომენტარი მივიღეთ:**

**„ეს ადგილი ძალზე საშიშია, ვინაიდან იქ არსებობს კარსტი, რომელიც უშუალო კავშირშია მარცხენა ფერდობთან. წყალსაცავის პირველად ავსების მცდელობისას ენგურის წყალი ამ კარსტიდან მაგანაში გადმოვიდა!!! მაშინ მშენებლობას ხელმძღვანელობდა ნოდარ შარტავა, მან როგორც კი გაიგო ამ ფაქტის შესახებ, მაშინვე გასცა შევსების შეწყვეტის ბრძანება!!! ასე რომ, იქ რჩება რამდენიმე მეტრი, რომელიც ხელშეუხებელია!!! ხოლო რასაც თქვენ ბრძანებთ... აბსოლუტურად დაუშვებელია, ვინაიდან ფერდობის ის მონაკვეთი ძალზე სუსტი და მოწყვლადია... არ შეიძლებოდა იქ მიწის ამოღებაზე ნებართვის გაცემა!!!**

**...მე იმ პერიოდში ენგურის კომპლექსურ ექსპედიციაში ვმუშაობდი ჰიდროლოგიური პარტიის უფროსად და ფაქტის შემოწმება-გამოკვლევა უშუალოდ მე დამევალა.“**

**მ. ჭ.**


თაბაშირის კარიერი ენგურჰესის წყალსაცავის თავზე


ჩაქცეული ადგილი და „ჭა“, რაც მიუთითებს, რომ ფერდობის წიაღში კარსტული მღვიმეებია! ბონდო მანიას ფოტო

ალიანჩალიანი

## ყველა კატეგორიის პენსიონერი და სოციალურად დაუცველი ტრანსპორტით უფასოდ ისარგებლებს

**კოალიცია „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძე გუშინ კოლმეურნეობის მოედანზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლებსა და მგზავრებს შეხვდა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ კოალიციის პრესსამსახურიდან აცნობეს, დიმიტრი ლორთქიფანიძემ მოსახლეობას სატარიფო პოლიტიკასთან დაკავშირებით კოალიციის ახალი ინიციატივა გააცნო.**

**— ყველა კატეგორიის პენსიონერისა და სოციალურად დაუცველის ერთიანი რაოდენობა არის 228 ათასი ბენეფიციარი. თქვენ იცით, რომ ჩვენი აქტიური ჩარევის შედეგად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ავტობუსებში, მათთვის მგზავრობის ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ხშირია მათი დაჯარიმების ფაქტები.**

**ჩვენს მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რაც გულისხმობს იმას, რომ როგორც ავტობუსით, ასევე სამარშუტო ტაქსებით მგზავრობა 228 ათასი ბენეფიციარისთვის გახდეს უფასო. ამის სუბსიდირებას მთლიანად მერია აიღებს თავის თავზე. სუბსიდირების შედეგად ამ ღონისძიების დასაფინანსებლად ჯამში 3 მილიონამდე ლარი იქნება მობილიზებული, სამაგიეროდ მიღწეული იქნება ძალიან მნიშვნელოვანი მიზანი, რომელიც ყველა კატეგორიის პენსიონერსა და სოციალურად დაუცველს საშუალებას მისცემს საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასო სარგებლობისა, — განაცხადა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.**

# ლენჩის პოლიტიკა და ლინჩის სამართალი



**კარგა ხანია, ადამიანების თვითნებური გასამართლების ფაქტები ქართული საზოგადოების შეშფოთების საგნად იქცა და არცთუ უსაფუძვლოდ. არ ვგულისხმობ მხოლოდ ჩიორა თაქთაქიშვილის, ნუგზარ წიკლაურის, დავით კოდუას, ზურაბ ჭიაბერაშვილის, მამუკა ხერხეულიძის ცემისა თუ დაჭრის ფაქტებს. საუბარია გაცილებით უფრო სერიოზულ და საშიშ მოვლენაზე — სახელმწიფოს გვერდის ავლით „სამართლიანობის აღდგენის“ („სამართლის გაჩენის“) მცდელობაზე.**

მართალია, ქართული დემოკრატიზმის ისტორია მხოლოდ 1990 წლიდან დაიწყო, მაგრამ ქართველი ამომრჩევლების ყური სწრაფად მიეჩვია გამოთქმას **„ჩვენ ხელისუფლებაში ვართ“**. ეს სიტყვათშეთანხმება ორთოგრაფიული და ვოკალური თვალსაზრისით ისედაც ტყუპისცალივით ჰგავდა გამოთქმას **„ჩვენ ხელისუფლება ვართ“,** ხოლო 2004 წლის ბოლოსთვის მას შინაარსობრივადაც შეერწყა. მეტიც, ულტრათანამედროვე პოლიტიკური ტექნოლოგიების წყალობით, საბედისწერო „ჩვენ, ხელისუფლება“, „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“, ამომრჩეველთა ცნობიერებაში გაიგივდა „სახელმწიფოსთან“. ანუ, როცა ვინმე უბირი „ნაცი“ წარმოთქვამდა სიტყვას „ჩვენ“, იგი გულისხმობდა არა მარტო მმართველ გუნდს, ან მთლიანად ხელისუფლებას, არამედ საქართველოს სახელმწიფოს.

ეს მაგიური „ჩვენ“, ანუ პარტია-სახელმწიფო, იგივე ხელისუფლება, იგივე უმრავლესობა, იგივე „ჩემი გუნდი“ ხმების უმრავლესობით ავირჩიეთ ჩვენ — უპიროვნო მასამ. ამიტომ ყველაფერი, რასაც „ჩვენ“ ჩაიდენს, სავსებით სამართლიანია, ჩვენი ნების გამოხატულებაა და კეთდება სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

**ასეთი ლოგიკით შესაძლებელი ხდება ხელისუფლების ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედების, მათ შორის, დემოკრატიული პრინციპების უარყოფის, ეთნიკურ უმცირესობათა ან განსხვავებული აზრის მატარებელთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის, დიქტატურის დამყარებისკენ სწრაფვის გამართლება. შესაძლებელი ხდება ყველაფერი ის, რაც ისტორიაში ცნობილია ინკვიზიციის, ან გერმანული ფაშიზმის სახელით.**

ისტორიაში ცნობილი უკლებლივ ყველა რევოლუციური ხელისუფლება, უპირველეს ყოვლისა, პიროვნული, მოაზროვნე „ჩვენის“, ანუ ხალხისა და „ჩვენ, ხელისუფლების“ , ხალხისა და საკუთარი ნების გაიგივებას ცდილობს. საზოგადოება, როგორც წესი, თავიდან ამ მცდელობას ყურადღებას არ აქცევს; მერე შეგნებულად უგულებელყოფს (პასუხისმგებლობიდან თავის დაძვრენის მიზნით); მერე კი მოქმედებს ყოვლად ჩვეულებრივი შიშის სინდრომი და ადამიანური ვნებები — ვინძლო უზარმაზარი მუქთი ხაჭაპურიდან ცოტა მეც მერგოს! საბოლოოდ, როგორც გარდაუვალ შედეგს, ვიღებთ დემოკრატიის მანტიით უხეშად შენიღბული მმართველობის უსასტიკეს ტოტალიტარულ რეჟიმს.

კიდევ უფრო მოკლედ და ცხადად რომ ვთქვა, დემოკრატია არ გამორიცხავს დიქტატურას. აქაც საქმე გვაქვს გაიგივებასთან, უფრო ზუსტად, იმ საკითხის გარკვევასთან, ვის ხელში უნდა იყოს ხალხის ნების ჩამომყალიბებელი საშუალებები: სამხედრო და პოლიტიკური ძალები; პროპაგანდა; მასმედიის საშუალებებით საზოგადოებრივ აზრზე, პარტიულ ორგანიზაციებზე, განათლების სისტემაზე, პროფკავშირებზე კონტროლი...

მთელი ეს საკმაოდ მძიმედ წასაკითხი და კიდევ უფრო მძიმედ გასაგები თეორია იმისთვის გავიხსენე, რომ მეთქვა — 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ წყალობით ხელისუფლების სათავეში აღმოჩენილმა ჯგუფმა მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით ძალიან სწრაფად გააიგივა საკუთარი თავი სახელმწიფოსთან (თავისი ნება სახელმწიფოს ნებასთან). მმართველი ჯგუფი იქცა კლანად და ყოვლისშემძლეობისა და დაუსჯელობის ილუზიის ტყვეობაში აღმოჩნდა. ნებსით თუ უნებლიეთ, სისტემურ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩათრეული აღმოჩნდა ყველა, პრეზიდენტიდან რიგითი პარტიული კოორდინატორის ჩათვლით.

სწორედ ამის გამოა, რომ დღეს ხელისუფლებისა და საზოგადოების დიდი სურვილის მიუხედავად, ძალიან პრობლემურია 26 მაისის, 7 ნოემბრის, ე.წ. „ციხის მოვლენების“, საცხოვრებელი სახლების ნგრევის, კერძო ქონების წართმევის, რუსეთთან ომის პროვოცირებისა და სამარცხვინო დამარცხების, გახმაურებული მკვლელობების, გამოგონილი „ამბოხებების“ სასტიკი ჩახშობის, პოლიტიკური ოპონენტების გატაცებებისა და უმოწყალო ცემის, „აგენტურული ქსელების“ აღმოჩენების, სხვა დანაშაულებში მონაწილეთა გასამართლება. მათ შორის იგულისხმებიან ის ადამიანებიც (მიხეილ სააკაშვილი, გია ნოდია, სვიმონ მასხარაშვილი, ნოდარ ლადარია, ზურაბ ჭიაბერაშვილი, თეა თუთბერიძე, პავლე კუბლაშვილი, გიგა ბოკერია, გოკა გაბაშვილი, მაია ორჯონიკიძე, სერგო რატიანი, ჟურნალისტები კვესიტაძე, პაიჭაძე, ექსპერტი თავხელიძე, მსახიობი ნასარიძე...) წლების განმავლობაში ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებებს რომ ამართლებდნენ — საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ძალადობდნენ.

ვიმეორებ, ჩადენილია უმძიმესი დანაშაულობანი, მაგრამ იმ დაწყევლილი „იგივეობათა ჯაჭვის“ არსებობის გამო, ძალიან რთულია ამ დანაშაულებში მონაწილე ყველა პირისთვის (ანუ უპიროვნო „ჩვენის“) სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. იმათთვის, ვინც კოლექტიური დანაშაულებრივი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა; ვინც დანაშაულებრივი დავალებები უშუალოდ შეასრულა; ვინც 26 მაისის გამთენიისას სისხლით მორწყულ რუსთაველის პროსპექტზე „მიშა!“ „მიშას!“ ძახილით გამოვარდა; ვინც ავადსახსენებელი „მოდელირებული ქრონიკა“ მოამზადა და ეთერში გადასცა; ვინც ქართველთა საამაყო მეფე ერეკლეს ქვეყნის მტერი, მშიშარა და გამყიდველი უწოდა...

სამართლიანობის აღდგენა, დამნაშავეთა დასჯა დიახაც აუცილებელია, მაგრამ მოდი, კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებასაც ნუ დავივიწყებთ — **ძალადობა ძალადობით არ აღმოიფხვრება, სისხლი სისხლით არ მოიბანება; ნებისმიერი ძალადობა, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს და რა კეთილშობილურ მიზნებსაც უნდა ისახავდეს, შობს მხოლოდ ძალადობას. ვგულისხმობ, როგორც ფიზიკურ, ისე ინტელექტუალურ ძალადობას. აი იმას, რასაც ხატოვნად „ტვინების გამორეცხვას“ უწოდებენ და, რასაც ასე დიდი წარმატებით იყენებდა სააკაშვილი და მისი „ჩემი გუნდი“.**

სახელმწიფოებრივად ძალიან საშიშია ის რეაქცია, რაც თუნდაც ერთ-ერთი პოლიტიკური პაიკის ზურაბ ჭიაბერაშვილისთვის ცხელ გულზე თავში ცხელი ჩაის ჭიქის ჩარტყმას მოჰყვა: „მის მარჯვენას ვენაცვალე!“ „უარესი ეკუთვნის!“ „დამნაშავე სასტიკად და სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს!“ „ეს ხელისუფლების წაქეზების და წაქეზების ბრალია!“...

უკვე ხმამაღლა გაისმის მოწოდებები სახალხო შურისძიების აუცილებლობაზე. საზოგადოების ერთი სოლიდური ნაწილი სულ უფრო დაჟინებით მოითხოვს გერმანული ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის ანალოგიით, ქართული „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე ორგანიზაციად გამოცხადებას.

არ ვამბობ, რომ მოწოდებები შურისძიების შესახებ უსაფუძვლოა — სააკაშვილის ხელისუფლებას (ნაციონალურ მოძრაობას) დანაშაული არ ჩაუდენია და მისი შემცვლელი პოლიტიკური ძალა ხალხის სახელით წინამორბედის განადგურებას ცდილობს, რადგან მისი ხელისუფლებაში დაბრუნებისა ეშინია. საქმეც ის არის, რომ სინამდვილეში **ჩადენილია ფანტასტიკური დანაშაულობანი, რომლებიც მოითხოვს შესწავლას, ახსნას, გაანალიზებას და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას, რათა მსგავსი რამ მომავალში არ განმეორდეს. ამას ცივი გონება, დიდი დრო, დიდი მოთმინება და დიდი სამოქალაქო გამოცდილება (სახელმწიფოებრიობის გამოცდილებას ვგულისხმობ) სჭირდება.**

ამას ზედ დაერთო ჩვენი ევროპელი და ოკეანისგაღმელი მეგობრების (რომლებსაც, როგორც ვატყობ, ქართველი ხალხი და მისი ადათ-წესები ჩირადაც არ უღირთ!) კატეგორიული მოთხოვნა კოჰაბიტაციაზე, რამაც ქართულ საზოგადოებას საბოლოოდ გადაუწურა სამართლიანობის აღდგენის იმედი.

რაც შეეხება ევროპულ გამოცდილებას გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის დამნაშავედ გამოცხადების თაობაზე — ამის იმედი არ უნდა გვქონდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გერმანული ნაცისტური პარტია დამნაშავედ გამოაცხადა საერთაშორისო სასამართლომ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უმძიმესი საერთაშორისო მასშტაბის დანაშაულობათა გამო. სააკაშვილის „ჩემი გუნდი“ რიცხობრივი სიმცირის, შეზღუდული მატერიალური და გონებრივი რესურსებისა და ღორმუცელობის გამო, გერმანულ მასშტაბებს ვერ მიუახლოვდა.

ნაციზმი რომ საკადრისად დაისაჯა, ამიტომაცაა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გერმანიაში არ დაწყებულა კუდიანებზე ნადირობა. პირიქით, დღესაც ლეგალურად თუ არალეგალურად არსებობენ ნაცისტური ჯგუფები და არსებობს ნაცისტური რევანშისტული იდეოლოგია.

**თუ საქართველოში ძალიან სწრაფად არ დამთავრდება „ლენჩური პოლიტიკის“ პირმშო ფარისევლური კოჰაბიტაცია, არ დაიწყება გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის (თუნდაც, სიმბოლური) პროცესი, ზემოთ ნახსენები ქუჩური ანგარიშსწორებები უკვე ხვალ იქნებ ბავშვურ გართობად მოგვეჩვენოს: ასპროცენტიანი ალბათობით შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, რომ სამართლიანობისათვის ბრძოლისა და დამნაშავეთა დასჯის კეთილშობილური საბაბით შეიქმნება საიდუმლო ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებსაც სათავეში მაღალინტელექტუალური ადამიანები ჩაუდგებიან და, რომლებსაც სულ მალე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების გაკონტროლების პრეტენზია გაუჩნდებათ. მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებას მასთან ბრძოლის მორალური უფლება აღარ ექნება.**

ასეთია კანონზომიერება, რასაც თავის დროზე, დღეს რომ სამაგალითოდ ვისახავთ, ვერც ერთი ის სახელმწიფო ვერ გადაურჩა.

სხვათა შორის, მაშინდელი „ლენჩი პოლიტიკის“ გამო მოვლენათა ამგვარი განვითარება უკვე ვიწინასწარმეტყველე ამ ათი წლის წინათ. მაშინ ხელისუფლება გაზეთებს არ კითხულობდა და ჩემმა იმ წინასწარმეტყველებამ მის ყურამდე ვერ მიაღწია. ახლანდელი ხელისუფლება, როგორც ვიცი, კითხულობს და, წარმოიდგინეთ, ჟურნალისტებსაც კი უსმენს.

ყველაფერს ამერიკელებს ნუ დავაბრალებთ — პლანტატორ ჩარლზ ლინჩის სახელი საქართველოს მოსახლეობის მეათიათასედსაც არ ეცოდინება: საქართველოში საკმაოდ დიდია შურისძიების, სისხლის აღების ტრადიცია. მხოლოდ სვანეთს ან ხევსურეთს არ ვგულისხმობ — ასეა მთელ საქართველოში.

**ის, რაც ჭიაბერაშვილის თავს მოხდა, მხოლოდ მცირე შესავალია, მინიშნებაა მოვლენათა ტრაგიკულ განვითარებაზე. საჭიროა ძალიან სწრაფი, გადამჭრელი და რისკიანი მოქმედება, თორემ ხვალ უკვე ძალიან გვიან იქნება.**

მწერალ ლაშა თაბუკაშვილის, ჟურნალისტ ირაკლი ტაბლიაშვილის, პარლამენტარ სოსო ჯაჭვლიანის, ჩემი და კიდევ ბევრი სხვა „კაი ბიჭის“ გულისამაჩუყებელი შეგონება-მოწოდებები ვერაფერს შეცვლის.

**ნაცმოძრაობის წევრებმა კი, საერთოდ, სჯობს პირზე კლიტე დაიდონ: მათი გამოსვლები მხოლოდ ამწვავებს ვითარებას.**

**თეიმურაზ ქორიძე**

---

**ალიანჩალიანი**

## აუცილებელია აბონენტთა ინდივიდუალური ინფორმირება და არა ინტერნეტით დაკვალიანება

**ენერგოომბუდსმენი სალომე ვარდიაშვილი კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ რეკომენდაციით მიმართავს და სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.**

**— თანამედროვე რეალობაში ინტერნეტი ნამდვილად არის ინფორმაციის გავრცელების მასობრივი საშუალება, თუმცა, არ არის ყველასათვის ხელმისაწვდომი. შეუძლებელია, ყველა მოქალაქემ მიიღოს ინფორმაცია ვებ-გვერდის მეშვეობით. ყოველივე ეს გამოიწვევს გაუგებრობას და შესაძლოა, მომავალში მრავალი მომხმარებელი დარჩეს სათანადო სერვისების გარეშე, — ნათქვამია განცხადებაში.**

**მასში ასევე აღნიშნულია, რომ ენერგოომბუდსმენი სალომე ვარდიაშვილი რეკომენდაციით მიმართავს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“, აბონენტთა ინფორმირება ინდივიდუალურად უზრუნველყოს და არ დაუშვას მიმდინარე თვეში, თუნდაც, ერთი მომხმარებლისთვის თანხის გადაუხდელობის გამო შესაბამისი მომსახურების შეწყვეტა.**

**ენერგოომბუდსმენის განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ 9 ივნისს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისში მცხოვრები აბონენტების ნაწილმა, რომელსაც, როგორც წესი, 23 ივნისამდე უწევს გადასახადის დაფარვა, მიიღო ერთიანი კომუნალური ქვითარი, რომელშიც GWP-ის გრაფა, პრაქტიკულად ცარიელია. ტექნიკური ხარვეზის გამო, ქვითარში წყალმომარაგების მიმდინარე გადასახადი და აღრიცხვის კვანძის მოწყობის (გამრიცხველიანების) საფასურის ყოველთვიური პორცია ასახული არ არის.**

**ენერგოომბუდსმენის განცხადებით, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ თხოვნით მიმართა აბონენტებს, დაუყოვნებლივ შეამოწმონ სააბონენტო ბარათზე დარიცხული გადასახადი სწრაფი გადახდის ტერმინალებში, ინტერნეტ-ბანკინგის მეშვეობით ან ბანკების ფილიალებში, იმისთვის, რომ აბონენტებმა წყალმომარაგების გადასახადის დაფარვა მოახერხონ დროულად — არაუგვიანეს 23 ივნისისა.**

ვითარება



# კვერცხები, მუშტები და არჩევნები

## დღეს ჩხუბობენ, ხვალ ტირიან, ასეთია ნაცთა სტილი!

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ ადგილობრივმა აქტივისტებმა ცაგერში მათი შეხვედრის ჩაშლა სცადეს. გიგა ბოკერია, გიგი უგულავა და პარტიის სხვა წარმომადგენლები ამომრჩევლებთან შეხვედრას მართავდნენ, როდესაც მათ კვერცხები ესროლეს. აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი აცხადებს, რომ, როდესაც ვხედავთ კანდიდატს დასისხლიანებული სახით, მიდის ინფორმაცია დაშინების შესახებ ან აგრესია საარჩევნო კომისიის მუშაკის მიმართ, ეს არ არის ნამდვილად კარგი ნიშანი როგორც საარჩევნო გარემოსთვის, ასევე ზოგადად საქართველოსთვის. უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს, რომ კონფლიქტი, ძალადობა, დაპირისპირება და ამაზე ტივტივი სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ სტილია.**

**For.ge ზაქარია ქუცნაშვილს** ესაუბრა.

**— ოპოზიცია აცხადებს, რომ საარჩევნო პროცესი არათანაბარ პირობებში მიმდინარეობს. აშშ-ის საელჩო ხელისუფლებას მოუწოდებს, უზრუნველყოს მშვიდი საარჩევნო გარემო, ზეწოლებზე განცხადება გააკეთა თომას ჰამერბერგმა. როგორ ფიქრობთ, რა დასკვნას დაწერს საერთაშორისო ორგანიზაცია? ექსპერტები აცხადებენ, რომ ბევრად უფრო ნეგატიური დასკვნა დაიწერება, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნების დროს...**

— ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში რამდენიმე კანდიდატი მონაწილეობს, ეს თავისთავად ზრდის ინციდენტობის რაოდენობას. ეს არაა საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც ერთი, ორი ან სამი ადამიანი ეჯიბრება ერთმანეთს. აქ ათი ათასობით ადამიანი ეჯიბრება ერთმანეთს, რაც ინციდენტების, შემხებლობის და სხვა კავშირებს მკვეთრად ზრდის.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ადგილობრივი არჩევნები, თავისი ინტენსიური ხასიათიდან გამომდინარე, ბევრად ცოცხალია, ვიდრე საპრეზიდენტო, ან თუნდაც საპარლამენტო არჩევნები. რაც შეეხება შედარებას, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ინიციატივა არის, მათ შორის ძველი რეციდივიდან გამომდინარე, მაგრამ მე მომწონს და მივესალმები იმას, რომ ხელისუფლების მხრიდან არაა მართული და წახალისებული ეს პროცესი.

**— თუმცა, მამუკა კაციტაძე აცხადებს, რომ შსს-ს სუს-ის დეპარტამენტს აქვს არჩევნები ჩაბარებული და სწორედ მათ მიერ ხდება კანდიდატებზე ზეწოლა...**

— თუ არ ვცდები, მთელი საქართველოს მასშტაბით ეს სტრუქტურა 300 თუ 400 მუშაკისგან შედგება. 300 და 400 კაცი, რომელიც კაბინეტებშია გამოკეტილი, ვერ მოიგებს არჩევნებს. ასე რომ, თუ ვინმე თვლის, რომ სუს-ი იბრძვის ან სუს-ი იგებს არჩევნებს, ეს არასწორია. შეუძლებელია, რომ 300 თუ 400 ადამიანი მოერიოს იმ 10 ათასობით აქტივისტს, ვინც ჩართულია წინასაარჩევნო კამპანიაში.

ეს უფრო ძველი რეციდივია, ძველი შიშების გამოვლინებაა, რაც იყო ძველი შსს-ს კუდ-ის და სოდ-ის არსებობის პირობებში, როცა პატრული, კრიმინალური პოლიცია, სახანძრო სამსახურებიც კი ჩართული იყვნენ წინასაარჩევნო კამპანიაში. სად ხედავთ ამის მსგავს, ან მასთან მიახლოებულს — პოლიცია, პატრული, კრიმინალური პოლიცია ან სახანძრო ჩართულია საარჩევნო კამპანიაში? ამას მე ვერ ვხედავ, ხოლო სუს-ის იმ 300 თუ 400 თანამშრომელს სურვილიც რომ ჰქონდეს, ვერ შექმნის ვერანაირ ამინდს.



**— ამერიკის ელჩი ამბობს, რომ, როდესაც ვხედავთ კანდიდატებს დასისხლიანებული სახით, ეს ნამდვილად არ არის კარგის ნიშანი...**

— დასისხლიანებული მე ვნახე მხოლოდ ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელსაც შეურაცხყოფა მიაყენა მოქალაქემ. სხვა რომელ დასისხლიანებულ ამომრჩეველს გულისხმობს ელჩი, მე არ ვიცი.

**— თუნდაც ჭიაბერაშვილის ცემა სწორად მიგაჩნიათ?**

— არავის მიმართ არ უნდა იყოს ძალადობა გამოყენებული. ეს უნდა იყოს არა ზოგადი რიტორიკა, არამედ ცხოვრების წესი, ამიტომაც ნორლანდის განცხადების იმ ნაწილს, რომელშიც ის ამბობს, რომ უნდა ჩატარდეს გამოძიება და დადგინდეს დამნაშავე პირები, მე მხარს ვუჭერ და მივესალმები. სახელმწიფოს პოზიციური ვალდებულებაა, რომ დავიცვათ ყველა, მათ შორის, ჩვენი ოპონენტები, კანდიდატი იქნება თუ არა კანდიდატი, ყველა უნდა იყოს დაცული.

რაც შეეხება მარნეულის ფაქტს, მოვუწოდებ ყველას, „მაესტროს“ ეთერში ნახონ მარნეულის გამგებლობის კანდიდატის გამოსვლა, სადაც ის ამბობს, რომ ჩემზე არანაირი ზეწოლა და მუქრა არ ყოფილაო. „ნაციონალური მოძრაობა“ კი ამბობს, რომ კი ზეწოლა იყო.

**— ის, რაც მოხდა მარნეულში და შემდეგ უკვე ბათუმში, როდესაც პარლამენტის წევრმა გიორგი ბარამიძემ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხოფა მიაყენა „ქართული ოცნების“ აქტივისტს, როდესაც ცაგერში კვერცები ესროლეს გიგა ბოკერიას და გიგი უგულავას, რამ განაპირობა ეს ფაქტები, სპეციალურად, პროვოცირება ხომ არ ხდება?**

— არაა გამორიცხული, მაგრამ მე ასე დავსვამდი საკითხს — „ნაციონალაური მოძრაობა“ ეს ის ვამპირია, რომელმაც თუ სისხლი არ მიიღო საკვებად, არსებობა ისე არ შეუძლია. ეს რომ ასეა, დადასტურდა მათი ხელისუფლებაში ყოფნით და უკვე ოპოზიციაში ყოფნითაც. მათ უყვართ კონფლიქტი, ძალადობა, დაპირისპირება და ამაზე ტივტივი. იგივე ხელწერა ჰქონდათ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, იგივე ხელწერა აქვთ ოპოზიციაში ყოფნის დროს.

ძალადობა და დაპირისპირება მათი მართვის სტილია. ამით ახდენენ თავიანთი თავის აქტუალიზაციას. ამ დროს ვერ აცნობიერებენ, რომ იმ გამარჯვებას აქვს ფასი, რა გამარჯვებაც „ქართულმა ოცნებამ“ ყოველგვარი ძალადობის და დაპირისპირების გარეშე მოიპოვა 1 ოქტომბერს. აგრესია ჩვენი მხრიდან არ მოდიოდა და ჩვენ თავს ვიცავდით, თავს არავის არ ვესხმოდით. „ნაციონალური მოძრაობა“ ძალადობს, თავს ესხმის სხვას, მიუხედავად იმისა, ხელისუფლებაში იქნება თუ ოპოზიციაში. იგივე მაგალითი, რაც თქვენ მოიყვანეთ ბარამიძესთან დაკავშირებით, იგივე უგულავასთან მიმართებაში, ადასტურებს, როგორ ძალადობენ. მერე გამოდიან და ბოდიშებს იხდიან, ასე არ უნდა მოვქცეულიყავითო. წინა დღეს ჩხუბობენ, მეორე დღეს ბოდიშებს იხდიან. ასეთ ხალხთან გვაქვს ჩვენ საქმე.

**— გიორგი ბარამიძის მიმართ, რომელსაც იცავს დეპუტატის იმუნიტეტი, ამ შემთხვევაში რა ზომები შეიძლება გატარდეს?**

— მე მხარს ვუჭერ ბატონ ნორლანდის განცხადებას, მხარს ვუჭერ იმ გაგებით, რომ იმას არ უგულისხმია მხოლოდ ერთი მხარე. მან იგულისხმა ყველა პირი, ვინც კი ჩართულია ამ პროცესში. მათ შორის ის ხალხი, ვინც ოპოზიციაშია. მე ასე აღვიქვი ბატონი ნორლანდის განცხადება, რომ ეს ყველას ეხება და არა რომელიმე ჯგუფს.

**— შესაძლებელია, საარჩევნო შედეგების გამოცხადების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად ქუჩაში გამოვიდეს, ამისთვის ემზადება ოპოზიცია?**

— „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვს მორალური პოტენციალი, რომ ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს. ხელისუფლებას არ ჩაუდენია უპატიებელი შეცდომა. აქედან გამომდინარე, ამას გამოვრიცხავ.

**თამთა ქარჩავა**

გამოკითხვა



# დამსხვრეული მითი?

## რის საფუძველზე ამტკიცებს ირმა ინაშვილი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ არის მთავარი ოპოზიციური ძალა?

**თბილისის მერობის კანდიდატმა ირმა ინაშვილმა გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა, რომელმაც, პარტიების რეიტინგებთან ერთად, საზოგადოებისთვის აქტუალური სხვა საკითხებიც მოიცვა. მისი თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო ეტაპი ცხადყოფს, რომ ქვეყანაში არ არსებობს საარჩევნო დემოკრატია და სასწრაფოდაა განსახორციელებელი საარჩევნო რეფორმა.**

**„ქვეყანაში არ არსებობს თავისუფალი საარჩევნო სივრცე. ე.წ. არაკვალიფიცურ და კვალიფიციურ პარტიებს შორის უთანასწორობა იმდენად თვალშისაცემი და ღრმაა, რომ ცალკეული პარტიები აშკარად მოექცნენ პოლიტიკური დისკრიმინაციის ქვეშ. ჩვენ არ გვქონდა და არც გვაქვს უფასო სარეკლამო დრო. არ გვყავს წევრები საარჩევნო კომისიებში, საარჩევნო ნომრის მინიჭებას თვეები დასჭირდა, რამაც დააყოვნა სააგიტაციო მასალის დაბეჭდვა და გავრცელება.**

**პოლიტიკურ დებატებში სტუმრების შერჩევისას ტელეარხები ხელმძღვანელობენ კვალიფიციურობის კრიტერიუმით, რაც წარმატებულ კანდიდატებს დებატებში სრულფასოვანი მონაწილობის საშუალებას ართმევს. სახელისუფლებო კანდიდატის მხარდამჭერები საზოგადოებას არწმუნებენ, რომ მათი კანდიდატი უალტერნატივოა, ხოლო „ნაციონალური მოძრაობა“ ამტკიცებს, რომ ქვეყანაში ის მეორე პოლიტიკური ძალაა, რაც მტკნარი სიცრუეა“,** — აცხადებს ირმა ინაშვილი.

მისი თქმით, მარტის თვის დასაწყისში, „ობიექტივმა“ შექმნა გამოკითხვის სპეციალური ჯგუფი, რომელმაც ქვეყანაში ფართომასშტაბური გამოკითხვა დაიწყო. დღევანდელი მდგომარეობით, გამოკითხულია 100 000-ზე მეტი ადამიანი, თუმცა, ამ დროისთვის მოესწრო 40 000-ზე მეტი მონაცემის დამუშავება.

გამოკითხვის ყველა ფურცელზე მოქალაქეს ასახული აქვს თავისი სახელი და გვარი, მისამართი, პირადობის ნომერი, ხელმოწერა, ანუ ყველა ფურცელი ანონიმური კი არა, არამედ საჯარო და სრულფასოვანია. ინაშვილმა ამის საილუსტრაციოდ წარმოადგინა გამოკითხვის 20 000-ზე მეტი ფურცელი. ეს დოკუმენტაცია გამჭვირვალე ყუთებშია განთავსებული. 450-ზე მეტი ფურცელი კედლებზე იყო გამოფენილი და მედიის წარმომადგენლებს მონაცემების გაცნობის საშუალება ჰქონდათ.

გამოკითხვა 6 ძირითადი შეკითხვისგან შედგებოდა. თუმცა, მხოლოდ , „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ და „ნაციონალური მოძრაობის“ მონაცემები განსაჯაროვდა. როგორც ინაშვილი ამბობს, ამით დაამსხვრეს მითი, რომ „ნაციონალაური მოძრაობა“ მთავარი ოპოზიციური ძალაა.

**„საქართველოს მასშტაბით, გამოკითხულთა მხოლოდ 5,7% უჭერს მხარს „ნაციონალურ მოძრაობას“ 28, 8%-ი — „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ ამგვარად, ჩვენ, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ 5-ჯერ მაინც ვუსწრებთ „ნაციონალურ მოძრაობას“. ხაზს ვუსვამ — ეს გამოკითხვა მიმდინარეობდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კამპანიის დაწყებამდე. მაშინ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ჯერ კიდევ არ იყო აღნიშნული საარჩევნო სუბიექტად, ხოლო მე, ირმა ინაშვილი, არ ვიყავი დასახელებული თბილისის მერობის კანდიდატად. დღეს ჩვენი რეალური რეიტინგი კიდევ უფრო მაღალია. ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ სწორედ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ იქნება პირველი თუ არა, მეორე პოლიტიკური ძალა“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ირმა ინაშვილი.

რაც შეეხება, „ქართული ოცნების“ პარტიულ რეიტინგს, ინაშვილი ამბობს, რომ ქვეყანაში არ არსებობს არც ერთი დიდი ქალაქი და რაიონული ცენტრი, სადაც „ქართულ ოცნებას“ 50%-იანი რეიტინგი აქვს.

**„მეტს გეტყვით, ეს რეიტინგი ვერსად ვერ აღწევს 50%-ს. დავით ნარმანიას და „ქართულ ოცნებას“ განსხვავებული რეიტინგი აქვთ. „ქართულ ოცნებას“, როგორც პოლიტიკური პარტიას, მეტი ადამიანი უჭერს მხარს და ენდობა, ვიდრე თბილისის მერობის კანდიდატს, დავით ნარმანიას“,** — აცხადებს ინაშვილი.

მისი თქმით, გამოკითხვაში ყურადღება დაეთმო საზოგადოებისათვის აქტუალურ სხვა საკითხებსაც. გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის თითქმის 70% პრიორიტეტად მიიჩნევს რელიგიურ და კულტურულ ტრადიციებზე დაფუძნებული ცხოვრების წესის შენარჩუნებას. მოსახლეობის 60%-ზე მეტისთვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის გამთლიანებას.

**„გამთლიანების გამო, ის თანახმაა, გნებავთ, ნატოში გაწევრდეს და გნებავთ, არარსებულ ევრაზიულ კავშირში, ან რომელიმე სხვა გაერთიანებაში. ეს ინფორმაცია მკვეთრად განსხვავდება იმ მუდმივი ტყუილისაგან, რომლითაც სააკაშვილის რეჟიმი წამლავდა მსოფლიოს. ასევე, ჩვენი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა, 80%-ზე მეტი მოითხოვს სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებას, დამნაშავეთა დასჯას და რომ კოაბიტაცია არ არის ქართველი ხალხის დაკვეთა და სურვილი“,** — აცხადებს ირმა ინაშვილი.

**თამარ მეგრელაძე**

№111. ოთხშაბათი, 11 ივნისი, 2014 წელი.

ალიან-ჩალიანი

## იძულებით გადაადგილებულები ახალმოსახლეობას იზეიმებენ

110 იძულებით გადაადგილებულ ოჯახს შემოდგომაზე ახალი საცხოვრებელი სახლი ექნება. როგორც „ინტერპრესნიუსს" მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აცნობეს, სამშენებლო სამუშაოები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე თორნიკე თორაძემ დაათვალიერა და მშენებლობაზე დასაქმებულ ადამიანებს გაესაუბრა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლის რეაბილიტაციის ფარგლებში, მუნიციპალური განვითარების ფონდი იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ქუთაისში 110-ბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციას ახორციელებს. ოცხელის ქუჩაზე მდებარე ყოფილი საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაციას ფონდი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ახორციელებს. პროექტის საერთო ღირებულება 4,356,899.00 ლარია.

ქუთაისის გარდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით კიდევ სამი შენობის რეაბილიტაცია ხორციელდება კასპსა და ბორჯომში, რომლის დასრულების შემდეგაც ჯამში 240 იძულებით გადაადგილებულ ოჯახს ექნება ახალი საცხოვრებელი სახლი.

აღნიშნულ პროექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოები 2014 წლის თებერვალში დაიწყო და 6 თვეში დასრულდება. 110 ბინიდან 46 ბინა ერთოთახიანია, 52 ბინა ოროთახიანი, 12 ბინა კი სამოთახიანი. აქედან 6 ბინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისაა სრულად ადაპტირებული, ამასთან რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ მთლიანად საცხოვრებელი კორპუსი და გარე ინფრასტრუქტურა სრულად იქნება ადაპტირებული შშმ პირებისთვის.

პროექტის განხორციელების განმავლობაში მშენებლობაზე 120-150 ადამიანი იქნება დასაქმებული, აქედან 25% იძულებით გადაადგილებული პირია. ყველა საცხოვრებელ ბინას ექნება ინდივიდუალური სააბაზანო და საპირფარეშო, რომელიც სრულად იქნება აღჭურვილი. სამზარეულოში დამონტაჟდება წყლის გამათბობელი, ასევე დაიდგმება კარმის ტიპის გამათბობელი. ეზოში მოეწყობა სათამაშო ატრაქციონი, ასევე მოეწყობა ავტომობილებისთვის სადგომი. დამონტაჟდება გარეგანათების ქსელი, დეკორატიული სანათები, სანაგვე ურნები და სხვა საჭირო ატრიბუტიკა.





# გული მიკვდება, როცა თბილისში ჩავივლი და...

**„სიძველისადმი გრძნობა, პატივი თუ შენში ოდნავ მაინც ელვარებს, მიხვდები ასე ანდამატივით, რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს"... წერდა თბილისის უპირველესი ტრუბადური იოსებ გრიშაშვილი. ჩემის აზრით, თბილისის მომავალი მერის უპირველესი საზრუნავი ადამიანი და, აქედან გამომდინარე, მოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნვა უნდა იყოს.**

ბოლო 20-25 წელიწადია, ჩვენში დამკვიდრდა ტერმინი – ქალაქის მერი, მაგრამ ამ დემოკრატიული ინსტიტუციის ნაღვაწის შემხედვარეს შთაბეჭდილება მრჩება, რომ XIX-XX საუკუნის დროინდელი არაქართველი ქალაქის თავები უფრო ზრუნავდნენ თბილისის იერსახეზე, მის განაშენიანებაზე, გამწვანებაზე, ვიდრე დღევანდელი ქართველი მერები, რისი დასტურიც არის ჩემ დროს პლეხანოვის და ახლა აღმაშენებლის, რუსთაველის გამზირებზე არსებული შენობა-ნაგებობები, სოლოლაკის თუ ვერეს, ვორონცოვის ძველი უბნები, ფუნიკულიორი და ა.შ.

ჩემთვის, როგორც პროფესიონალი მშენებლისთვის, მიუღებელი და გაუგებარი იყო წინა ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული განუკითხაობა, როდესაც არქიტექტორიც, მშენებელიც და მხატვარიც „გენიოსი" სააკაშვილი იყო. ავტორიტარიზმის პერიოდში სამშენებლო წესებისა და ნორმების უგულებელყოფა დამკვიდრდა. მაგრამ, საუბედუროდ, ამ მხრივ დღესაც არაფერი შეცვლილა... უზნეობა და ძალადობა დედაქალაქზე გრძელდება.

მერია და გამგეობები ნებისმიერ უკანონობებზე იძლევიან ნებართვებს: აშენება, იქნება ეს მიშენება, დაშენება, რეკონსტრუქცია თუ დანგრევა. აბსოლუტურად იგნორირებულია არქიტექტორული თუ მშენებლობის ხარისხის კონტროლი. არადა, ეს ყველაფერი იმ „ავადსახსენებელი" კომუნისტების დროსაც კი იყო, „არქმშენკონტროლი", უწყება, სადაც, როგორც წესი, უმწიკვლო რეპუტაციის ხალხი მუშაობდა და, ამდენად, ქრთამით თუ ნაცნობობით რაიმე უკანონობის დაკანონება პრაქტიკულად გამორიცხული იყო!

დღეს სრული განუკითხაობა და უპასუხისმგებლობა სუფევს ქალაქის მერიაში, საკრებულოში, გამგეობებში. გაუთავებელი კინკლაობა, ერთმანეთზე გადაბრალება ჰგონიათ მათი საქმე. თბილისის და თბილისელების პრობლემები ფეხებზე ჰკიდიათ.

მერიამ და მისმა უნიჭო თანამშრომლებმა დაამკვიდრეს თეთრი და შავი კარკასის ტერმინი და დაუმთავრებელ მდგომარეობაში იღებენ ექსპლუატაციაში შენობებს. ასეთი ცნებები მშენებლობაში არ არსებობს. ეს სისულელე თვითონ მოიგონეს. ნებისმიერ სხვა ქვეყანაში დასრულებულ საცხოვრებელ შენობებს იღებენ. ჩვენთან კი ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ იწყება დაუსრულებელი ნგრევა და რემონტები. სამშენებლო ნაგვით არის გარშემორტყმული ახლადაშენებული სახლები და ეს გრძელდება თვეობით, ზოგიერთ შემთხვევაში – წლობით.

ნახეთ, რა ხდება ვერეზე, ვაკეში. ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები ისე მიჯრით არის აშენებული, რომ აივანზე ყავის დალევისას მეზობელი თავისი აივნიდან კოვზით შენს ჭიქაში შაქარს მოურევს – აი ასეთი „სიამტკბილობა" დაგვიმკვიდრეს უპრაგონო მშენებლობებით!

არც იმას დაგიდევს ვინმე, რომ ახალი მრავალსართულიანი შენობების გამო, მოძველებული გარე კომუნიკაციები გადატვირთვებს ვერ უძლებენ და ხშირად ზიანდებიან.

რას დაამსგავსეს ვაკის პარკი, მუშტაიდის ბაღი, კუს ტბის შემოგარენი... ნაგავსაყრელად აქციეს, გაჩეხეს მრავალწლიანი მწვანე ნარგავები და რესტორნები, ოფისები, სახინკლე-საშაურმეები, საელჩოებ-კოლეჯები და რა აღარ ჩადგეს ამ ერთ დროს მოქალაქეთა კულტურული დასვენების კერებში!

თბილისის ზღვა? ნებისმიერი ქვეყნის ბევრი დედაქალაქი ინატრებდა მსგავს ხელოვნურ წყალსაცავს. თბილისის ზღვაზე იყო მშვენიერი ელინგი (ნავების სადგომი, გნებავთ, ანგარი). სადაც დავდიოდი ყმაწვილკაცობის დროს აკადემიურ ნიჩბოსნობაზე, სპორტის ამ ვაჟკაცურ და ლამაზ სახეობაზე. წყალი იმდენად სუფთა-კამკამა იყო, რომ პირდაპირ ნავებიდან ვსვამდით. დღეს არაფერი მსგავსი და, რაც მთავარია, თბილისის ზღვამ დაკარგა მასობრივი დასვენების კერის ფუნქცია, მის შემოგარენში ვისაც სად მოესურვება, აშენებს უსახურ საცხოვრებელ სახლებს, გაუგებარ ნაგებობებს. იგივეს თქმა შეიძლება მტკვარზეც, სადაც ასევე იყო ელინგი ორთაჭალაში და თბილისის ზღვის ღელვის დროს მტკვარზე ვვარჯიშობდით. დღეს, იმის მაგივრად, რომ ტურისტები და თბილისელები დასეირნობდნენ კატერებით, მტკვარი და მისი კალაპოტი კლასიკური ანტისანიტარიის კერად აქციეს. სამწუხაროდ, როგორც ზღვაზე, ასევე მტკვარზე ელინგები გაანადგურეს, საწყლოსნო სპორტი საქართველოში ჩაკლეს.

ტრანსპორტით უკიდურესად გადატვირთულ თბილისში ხშირია საცობები. ამიტომ აუცილებელია, რომ საკომუნიკაციო სამუშაოები, ნაგვის გატანა და სავაჭრო დისტრიბუცია ღამის საათებში მიმდინარეობდეს. ეს მოთხოვნა ტენდერის და ხელშეკრულების პირობებში უნდა ჩაიდოს და დაწესდეს მის შესრულებაზე მკაცრი კონტროლი.

ბუნებრივი ქვით მშვენივრად მოპირკეთებულ ფასადებზე წინასაარჩევნო პლაკატებით დაწყებული რას აღარ აკრავენ: განცხადებებს კარატეს, ინგლისურის, მუსიკის, ცეკვის შესწავლის და სხვა მრავალი მსგავსის შესახებ. ასეთი თვითნებობისათვის უნდა დაწესდეს მაღალი ჯარიმები, რაც ბოლოს მოუღებს ფასადების დამახინჯებას.

ბოლო დროს თბილისის გამწვანება მიმდინარეობს იმპორტული, ძვირად ღირებული ნარგავებით, რაც ძალიან კარგია, მაგრამ დედაქალაქში ტექნიკური წყლის სისტემების არ არსებობის გამო ნერგები, სამწუხაროდ, იშვიათად ირწყვება და ისიც სასმელი წყლით, რის ნაკლებობასაც ისედაც განიცდის დედაქალაქი და ამიტომ თბილისში „ხეები ზეზეულად კვდებიან"... არადა, მტკვრის წყლის რესურსით დედაქალაქში ასეთი სისტემის შექმნა სავსებით რეალურია!

ზემოთ ვორონცოვი, როგორც თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი ვახსენე და გულდასაწყვეტია, რომ გასული საუკუნის 30-ან წლებში ბოლშევიკებმა აიღეს მიხეილ ვორონცოვის მართლაც უნიკალური ძეგლი – რუსი გრაფისა, რომლის სახელსაც უკავშირდება ბევრი საშვილიშვილო ქართული საქმე.

ახლა ვორონცოვის ძეგლს რაღა ეშველება, მაგრამ რა ვუყოთ ნაციონალების არანაკლებ უკეთურობას, როდესაც საქართველოს უდიდესი მონარქის დავით აღმაშენებლის ძეგლი გააძევეს თბილისის ცენტრიდან, რითაც შეურაცხყვეს მონუმენტის გენიალური ავტორი მერაბ ბერძენიშვილი და სულში ჩააფურთხეს საზოგადოებას!...

სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ მავანის დაპატიმრება არ გახლავთ. ჰოდა, სამართლიანობის აღდგენა იქნება ველოსიპედის „ძეგლის" გატანა და აღმაშენებლის თავის ძველ ადგილზე დაბრუნება, რისთვისაც სრულიად საკმარისი იყო წელიწადნახევარი, რაც ნაცების ფაშისტური რეჟიმი შეიცვალა, მაგრამ...

გული მიკვდება, როდესაც რუსთაველზე ჩავივლი და იავარქმნილ „ლაღიძეს" ვხედავ – თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული მშვენიერი დარბაზის ნაცვლად, რომელსაც მრავალი დიდი ქართველისა თუ ქართველთა სასიქადულო სტუმრების სტუმრობა ახსოვდა, ელიტარული ძონძების მაღაზია, ხოლო ქვემოთ სარდაფი, სადაც უგემრიელეს აჭარულ ხაჭაპურს დააგემოვნებდი, ნაგვით გაუვსია ვიღაცის უკეთურ ნებას – რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, თბილისის მერიამ ახალი მესაკუთრისგან უნდა გამოისყიდოს და დაუბრუნოს ობიექტს საუკუნოვანი ფუნქცია, რადგან „ლაღიძის წყლები" პირველ რიგში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და თბილისის სავიზიტო ბარათი იყო, სადაც სიამაყით მიგვყავდა სტუმარი, როგორც მცხეთის ჯვარზე თუ სვეტიცხოველში!

თუმცა ,ლაღიძის შემოგარენი ხომ თბილისელების შეკრების, შეყვარებულთა პაემნების ტრადიციული ადგილიც იყო...

მშენებელი კაცი ზოგადად ნგრევის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ, ჩემი აზრით, უნდა დაინგრეს გმირთა მოედანზე აღმართული გაუგებარი ფალოსი, რომელიც დაგვიტოვა პრეზიდენტყოფილმა.

ახალ მერს ურთულესი პრობლემები დახვდება და ყველა მიმართულებით ზღვა სამუშაო ექნება, რასაც მხოლოდ გამოცდილ პროფესიონალებზე დაყრდნობით შეძლებს, რომელთა ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის საქართველო! უბრალოდ ახალმა მერმა მხოლოდ საკუთარ ნათესავ-მეგობრებში არ უნდა ეძებოს კადრები. დედაქალაქისათვის საჭირბოროტო საკითხები ფართო საზოგადოების განხილვის გარეშე არ უნდა გადაწყდეს და კონკრეტული საქმის გასაკეთებელი ტენდერები ღიად და გამჭვირვალედ უნდა ჩატარდეს!

მერს სასურველია, ჰყავდეს მოადგილე, რომელიც მხოლოდ არქიტექტურისა და მშენებლობის საკითხებით იქნება დაკავებული. ჩვენს საბედნიეროდ, გვყავს შესანიშნავი არქიტექტორები და მშენებლები, რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდებიან ამ დარგის უცხოელ სპეციალისტებს, არც გამოცდილებით და არც პროფესიონალიზმით.

თბილისის მერი არ უნდა იყოს პოლიტიკური ფიგურა. ის რომელიმე პარტიის ინტერესებს არ უნდა გამოხატავდეს. უნდა იყოს კარგი მეურნე, მენეჯერი, ქველი. დღენიადაგ ფიქრობდეს და ილვწოდეს დედაქალაქის განვითარებასა და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე.

ურიგო არ იქნება საზოგადოება „თბილისელიც" რომ აღდგეს. ღირსეული თავკაცი, ერთ დროს ეს საზოგადოება ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებდა, რომელთა მონაწილე მეც გახლდით.

1962 წლიდან ვმოგზაურობ, მსოფლიოს 49 ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ყველგან, 5-6 დღის შემდეგ ისეთი ნოსტალგია მომეძალება ხოლმე, რომ ერთი სული მაქვს, როდის დავდგამ მშობლიური თბილისის მიწაზე ფეხს.

ძირძველ თბილისელს მიყვარს და მტკივა ჩემი ქალაქი, სადაც დავიბადე, გავიზარდე, ვისწავლე, ვიშრომე, სადაც უკვე შვიდ ათეულ წელზე მეტია ვცხოვრობ და, როცა, იქნება აქვე მინდა სამუდამო განსასვენებელი ვპოვო!

წინამდებარე წერილიც ამ ნოსტალგიის, ტკივილისა და ფიქრის გამოძახილია...

მენატრება ის თბილისი, როდესაც ვაკიდან თავისუფლების მოედნამდე ყოველ საღამოს დასეირნობდა დედაქალაქის რჩეული, ლამაზად გამოწკეპილი საზოგადოება – მწერლები, მსახიობები, პოეტები, მეცნიერები, მხატვრები, მუსიკოსები, არქიტექტორები და, საერთოდ, რიგითი მოქალაქენი მეუღლეებით, მეგობრებით, ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, საუბრობდნენ, ხუმრობდნენ, ხარობდნენ.

ლაღიძის წყლებს გულგრილად ვერ ჩაუვლიდნენ, აუცილებლად სტუმრობდნენ. მერე მიაშურებდნენ ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის, მარჯანიშვილის ან გრიბოედოვის თეატრებს, ფილარმონიას და კინოდარბაზებს, იქიდან გამოსულები კი – საუცხოო რესტორნებს.

ჩვენ, ახალგაზრდები, სიამოვნებით და აღტაცებით შევყურებდით მათ. მოგვწონდა მათი ქცევისა და საუბრის მანერები. ვამაყობდით თუ რომელიმე მათგანი გვიცნობდა და მოგვესალმებოდა.

ეს სილამაზისა და მშვენიერების ზეიმი იყო, სამწუხაროდ ის ბედნიერი, ამაღლებული განცდა-განწყობა არასდროს არ დაბრუნდება.

მაშინ ხომ არც ტელევიზორი, არც კომპიუტერი, არც მობილური არ არსებობდა და მსუბუქი ავტომანქანებიც ცოტა იყო თბილისში. მაგრამ ამ პროგრესული ტექნიკის უქონლობას ადამიანები აბსოლუტურად არ განიცდიდნენ.

რა ვქნა, გნებავთ გამკიცხეთ, არ მომწონს დღევანდელი თბილისის ქუჩები პაკისტანელებით, ინდოელებით, ირანელებით, თურქებით, ჩინელებით, ზანგებით რომ გადაიტვირთა.

ვისაც მოგწონთ, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, ჩემო ბატონო!

**ომარ მარგველაშვილი**

# არქიტექტურა არქიტექტორებს უბრუნდება



**წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში კოალიცია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი დავით ნარმანია ორჯერ შეხვდა ქართველ არქიტექტორებს და თბილისის ურბანული განვითარების პრობლემებზე მათი კვალიფიციური თვალსაზრისი მოისმინა.**

**ორივე შეხვედრა უჩვეულო გულწრფელობით გამოირჩეოდა. მერობის კანდიდატის კომპეტენტურობით, უშუალობითა და თავმდაბლობით განსაკუთრებით მოიხიბლა ჩვენი გაზეთის არქიტექტურული ექსპერტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ქართველ არქიტექტორთა მრავალი თაობის აღმზრდელი, აკადემიკოსი ვახტანგ დავითაია. ბატონი ვახტანგი დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.**

**— ბატონო ვახტანგ, სულ მალე თბილისს ახალი მერი და საკრებულო ეყოლება... არქიტექტურა და არქიტექტორები უშუალოდ დაკავშირებული ხართ ხელისუფლებასთან, როგორც ცენტრალურთან, ისე ადგილობრივთან. ავტორიტარიზმის ხანაში არქიტექტურა მთლიანად უზურპირებული იყო ნაციონალების მიერ. ხუროთმოძღვართა მცირე ნაწილი, მათ შორის, თქვენც, უკომპრომისოდ იბრძოდით სხვადასხვა რანგის არაპროფესიონალი „ბოსების“ თვითნებობის, შეუწყნარებელი ხუშტურების და უცხოელი არქიტექტორების გაფეტიშების წინააღმდეგ. თქვენი არა ერთი წერილი და ინტერვიუ გამოქვეყნდა პრესაში ცნობილი მოწოდებით — დაუბრუნეთ არქიტექტურა არქიტექტორებს. რა იმედებს ამყარებთ ახალ მერსა და საკრებულოზე?**

— უმადურობა იქნება არ ვთქვა, რომ ავტორიტარიზმის ცხრაწლიანი პერიოდი (განსაკუთრებით აგვისტოს ომამდე), სამშენებლო ბუმის პერიოდი იყო, მაგრამ სამშენებლო ბუმი ვერ გადაიზარდა არქიტექტურულ ხარისხში. შენება ყოველთვის არ ნიშნავს აღმშენებლობას, ზოგჯერ ის ნგრევის ტოლფასია. ასეთი მაგალითები არც თუ ცოტა დაგვიტოვა სააკაშვილის პერიოდმა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება მესტიას, არქიტექტურული კონტექსტიდან ამოვარდნილ აგრესიულ ობიექტებს, რიყეს — ბუდა ბარს, „მშვიდობის ხიდს“, საგამოფენო და სამაყურებლო-საკონცერტო დარბაზებს, „შანგრილას“ . ყველაფერი ეს სააკაშვილის მიერ პატივდებული უცხოელი არქიტექტორების ნახელავია, ეკლექტიზმის და კიჩის მაგალითებია ზოგიერთი ახალი საცხოვრებელი სახლი თბილისსა და ბათუმში, ლამისაა საქართველო წალეკოს ტურისტული ინდუსტრიის პანაცეად მიჩნეულმა ეთნოისტორიულმა კიჩმა, „ეროვნულმა“ რესტორნებმა, კაფე-ბარებმა.

არქიტექტურულ წარმატებას ისეთივე ზუსტი, სკრუპულოზური გათვლები და დაგეგმვა სჭირდება, როგორც თანამგზავრის გაშვებას თუ საომარ მოქმედებას. ამის მიღწევა მხოლოდ სხვადასხვა დარგის პროფესიონალთა ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება.

**— დარწმუნებული ხართ, რომ ასე არ გაგრძელდება? საბაზრო ეკონომიკამ ხომ ძირფესვიანად შეცვალა დამკვეთი — შემსრულებლის ტრადიციული ურთიერთობები?**

— მართალი ხართ, მნიშვნელოვნად განსხვავებულია დამკვეთი-შემსრულებლის (არქიტექტორის) დამოკიდებულება საბჭოთა გეგმიური ეკონომიკის პერიოდისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საბჭოთა პერიოდში „დამკვეთი“ სახელმწიფო იყო, ის ფულს იხდიდა, ხოლო პროფესიულ საკითხებს არქიტექტორი და სახელმწიფოს საპროექტო ინსტიტუტი და სამინისტრო წყვეტდა. დღევანდელი დამკვეთი კონკრეტული ადამიანია, კონკრეტული მოთხოვნებით, ინტერესებით, მიზნებით, ინტელექტით, გემოვნებით. პროფესიონალმა არქიტექტორმა დამკვეთის სურვილები უნდა მოაქციოს საერთო არქიტექტურულ და ქალაქის ინტერესებში. ხშირ შემთხვევაში ეს უაღრესად ძნელად მისაღწევია. ამ „ბრძოლაში“ ჯერჯერობით გამარჯვებული გამოდის ინვესტორი — ჩინოვნიკის ტანდემი, მათი მერკანტილური ინტერესები.

მე არ დავიღლები მოწოდებით — დაუბრუნეთ არქიტექტურა არქიტექტორებს! წინააღმდეგ შემთხვევაში ურბანული კოლაფსი გარდაუვალია.

**— გყავთ თუ არა არქიტექტორებს თბილისის მერობის ფავორიტი კანდიდატი?**

— ყველა არქიტექტორის სახელით ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არქიტექტორთა დიდი ნაწილის აზრს გამოვხატავ. დიახ, მე ვიცი, ვისაც მივცემ ხმას. ესაა ბატონი დავით ნარმანია. რატომ? ბატონი დავითი ორჯერ შეხვდა არქიტექტორებს, ერთხელ თავის შტაბში, მეორეჯერ თვითონ მობრძანდა არქიტექტორთა კავშირში. ორივეჯერ სადად, ხმაურის , ასისტენტებისა და ჟურნალისტების გარეშე. ორივეჯერ შეხვედრა იყო ხანგრძლივი, ხოლო აუდიტორია — მრავალრიცხოვანი. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მან კარგად იცის არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი პრობლემების მნიშვნელობა, მისი ძალა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. დიალოგის თემა იყო შეუზღუდავი: თბილისის გენერალური გეგმა, ეკოლოგია, სარეკრეაციო ზონები, ტრანსპორტი, გენგეგმის ინსტიტუტის ჩამოყალიბება. ითქვა, რომ გენგეგმა არის ქალაქის კონსტიტუცია, ხოლო გენგეგმის ინსტიტუტი ქალაქის გონი, ტვინი. ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ამ სტრუქტურაში და არა მერისა და სხვა მაღალი რანგის ჩინოვნიკების კაბინეტებში. არქიტექტორებმა დააყენეს საკითხი, რომ სამსახურის უფროსი აუცილებლად უნდა იყოს პროფესიონალი არქიტექტორი **(სასაცილოა, ამის ხაზგასმა რომ გვიხდება),** თანაც ის უნდა იყოს მერის ერთ-ერთი მოადგილე, მას უნდა ჰქონდეს რეალური უფლებები და შესაბამისი პასუხისმგებლობა. ხაზგასმით ითქვა პროექტების რეცენზირების, განხილვების და დამტკიცების პროცედურის სწორად წარმართვის აუცილებლობაზე. შესაძლებელია არქიტექტურული კონფლიქტების, საზოგადოებრივი დაძაბულობის მინიმუმამდე დაყვანა. აუცილებლად უნდა აღდგეს მთავარი მხატვრის პოსტი არქიტექტურული სამსახურის სტრუქტურაში. **არქიტეტორებმა დააყენეს გაზეთ „თბილისის“ აღდგენის საკითხი, ითქვა, რომ მათთვის ამ გაზეთის კარები ყოველთვის ღია იყო და თავისუფლად გამოთქვამდნენ პროფესიულ აზრს.** აღინიშნა, რომ არქიტექტურულ — ქალაქთმშენებლობის საკითხებში უმაღლესი „ინსტანცია“ უნდა იყოს პროფესიული საბჭო, პარალელურად უნდა მოქმედებდეს საზოგადოებრივი საბჭოც, რომ საჭიროა არსებობდეს სპეციალური საგამოფენო დარბაზი, სადაც საზოგადოება მიიღებს სრულ ინფორმაციას, თუ რა ხდება მის ქალაქში.

## ვიცი, ვისაც მივცემ ხმას, ესაა დავით ნარმანია



ქართველი არქიტექტორები მიესალმებიან უცხოელი კოლეგების მოღვაწეობას თბილისში, საქართველოში, მაგრამ ეს უნდა მოხდეს კონკურსების გზით, ეს ასეა მიღებული მთელ მსოფლიოში, თანაბარ პირობებში და არა ისე, როგორც ბოლო ხანს ხდებოდა საქართველოში — უცხოელი მესიად იყო მიჩნეული და ყველა დონეზე მწვანე შუქი ჰქონდა ანთებული.

გამომსვლელები ერთხმად ადასტურებდნენ, რომ ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ობიექტი უნდა შეირჩეს შემოქმედებითი კონკურსების გზით. ღია კონკურსები არა მხოლოდ საუკეთესო პროექტების არჩევის საშუალებაა, არამედ საზოგადოების თანამონაწილეობის მიღებული ფორმაც. ამ საქმეში პროფესიული დახმარება შეუძლია არქიტექტორთა კავშირს. ცალკეული საკითხები სწორედ არქიტექტორთა კავშირმა უნდა გადაწყვიტოს.

**— როგორ მიიღო ეს წინადადებები, სურვილების მთელი პაკეტი ბატონმა დავით ნარმანიამ?**

— მან არქიტექტორთა ყველა შკითხვაზე გასცა პასუხი, მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია. არქიტექტორები კმაყოფილებით შეხვდნენ მის მოსაზრებას ცალკეული პროექტების კორექტირების აუცილებლობაზე, ასევე, პოზიციას, რომ ინვესტორი უნდა დაექვემდებაროს ქალაქის და საზოგადოების ინტერესს და არა პირიქით. ამისთვის კი საჭიროა გენერალური გეგმის დროული დამუშავება, რათა ინვესტორს შევთავაზოთ სხვადასხვა ალტერნატივები.

* * *

**ამ დღეებში ბატონი დავითი ესტუმრა ჩვენს გამოჩენილ მოქანდაკეს ბატონ მერაბ ბერძენიშვილს დავით აღმაშენებლის ძეგლის ადრინდელ საუფლოში გადმოტანის საკითხზე. თბილისელები ამას, კარგა ხანია, ითხოვენ. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ რამდენჯერმე დაიბეჭდა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა წერილი ამ უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული პრობლემის მოწესრიგების აუცილებლობაზე. ბატონი დ. ნარმანია აღმოჩნდა პირველი ადამიანი, რომელიც რეალურად დაინტერესდა ამ ძეგლით.**

**კიდევ ერთი, ჩვენი საზოგადოება ყურადღებით აკვირდება საარჩევნო პროცესს. ბატონი ნარმანია, უპირატესად საუბრობს იმაზე, თუ რას გააკეთებს და არა იმაზე, თუ რა ცუდი იყო წინა ხელისუფლება.**

**აი, მთავარი მოტივაცია, რისთვისაც ხმას ვაძლევ ბატონ დავით ნარმანიას.**

ესაუბრა
**სპარტაკ ქოზულია**

---

ალიანჩალიანი

## დაუბეგრავი მინიმუმის სახით ფიზიკურ პირებს 90 მილიონი ლარი დაუბრუნდათ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის შეფასებით, დღეის მდგომარეობით არსებული მონაცემების საფუძველზე, 2014 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი 5%-იანი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიღწევა რეალურია.**

**ამის შესახებ ნოდარ ხადურმა გუშინ ღია მმართველობის ფარგლებში ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, სადაც 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარადგინა. ხადურის ინფორმაციით, 2014 წლის პირველ კვარტალში მთლიანმა შიდა პროდუქტმა შეადგინა 6 მილიარდ 879 000 მილიონი ლარი, რაც 605 მილიონი ლარით მეტია 2013 წელთან შედარებით, ხოლო 1 მლრდ 97 მილიონი ლარით მეტია 2012 წელთან შედერებით. გარდა ამისა, 2014 წლის იანვარ-აპრილში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ შეადგინა 9 მილიარდ 312 000 მილიონი ლარი, რაც 739 მილიონი ლარით მეტია 2013 წელთან შედარებით. თუმცა, მინისტრის ინფორმაციით, 2014 წლის იანვარ-მაისში საგადასახადო შემოსავლების სახით ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულია 2 მილიარდ 786 მილიონი ლარი, რაც დაახლოებით 130 მილიონი ლარით მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. 2014 წლის იანვარ-მაისის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი ნოდარ ხადურის ინფორმაციით, 101%-ით შესრულდა და ნომინალურ გამოხატულებაში ფაქტობრივმა მაჩვენებელმა საპროგნოზოდ 27,9 მილიონი ლარით გადააჭარბა.**

**ფინანსთა მინისტრმა ასევე ისაუბრა, რომ 2014 წლის პირველი აპრილიდან დაიწყო დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება და აპრილ-მაისში 300 000 ფიზიკურ პირს, ჯამში დაახლოებით 90 მილიონი ლარი დაუბრუნდა.**

**გარდა ამისა, მინისტრმა განაცხადა, რომ ძალიან ბევრს საუბრობენ, რომ ჩვენ ძალიან ბევრ ვალს ვიღებთ. 2012 წელს 4,4 მილიარდი ლარი იყო თითქმის სახელმწიფო ვალი, 2013 წელს მისი მოცულობა შემცირდა და ამჟამად წარმოადგენს 4,1 მილიარდ ლარს. „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ აღებულ ვალებს ჩვენ ვისტუმრებთ. მისივე ინფორმაციით, 2013 წელს საქართველომ 194 მილიონი დოლარი საგარეო ვალი გადაიხადა, ხოლო 2014 წელს კიდევ 288 მილიონი დოლარის ვალის გადახდას გეგმავს.**

## არ ვიცოდი, თუ მინისტრებს ქორწილში სიარული ეკრძალებოდათ

**ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმაჟურნალისტებთან „ღია მმართველობის“ ფარგლებში შეხვედრისას განაცხადა, ერთ-ერთ რესტორანში, ქორწილში მისი ქეიფის ამსახველი სურათების გავრცელების კომენტირებისას.**

**— არ ვიცოდი, თუ მინისტრებს ქორწილში სიარული ეკრძალებოდათ. გავითვალიწინებ მომავალში და შევათანხმებ, ქალაქის ერთ ბოლოში რომ არ გადაიღონ ჯიპები, მეორეში მინისტრი და მერე არ დააკავშირონ ერთმანეთთან. გარდა ამისა, ასეთი ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს ხაჩიძესთან და ხაბაზთან ერთად ვქეიფობ ყოველდღე, მაგის დამწერს უნდა მიუსაჯო მათთან ყოველდღიური ქეიფი, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.**

**მან ასევე აღნიშნული სკანდალის გამო იმ წყვილს მოუბოდიშა, ვის ქორწილშიც იმყოფებოდა.**

**ინტერნეტით გავრცელდა ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის ფოტოები, სადაც იგი მეუღლის დის ქორწილში იმყოფებოდა.**

## პრემიები ამოღებული მილიარდებიდან დაბრუნდა

**ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური შემოსავლების სამსახურში ნახევარ მილიონი ლარის ოდენობის პრემიის გაცემის მიზეზებს განმარტავს.**

**— შემოსავლების სამსახურის 12-მა თანამშრომელმა 12 თვეში აიღო ნახევარი მილიონი ლარი, თვეში ეს არის 3 000 ლარი. ეს არის დანამატი. ამ ადამიანებმა, მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის ბიუჯეტი ვერ შესრულდა, 6 მილიარდ ლარზე მეტი გადასახადი ამოიღეს. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ეს არის აუცილებელი. შემოსავლების სამსახური კორუფციის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მაღალრისკიანი სამსახურია. ამავე დროს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ 12 კაცის 12 თვეზე პრემიის ჯამში გამოქვეყნებამ, შეიძლება, მართლა გული გაუხეთქოს ადამიანს, მაგრამ, როცა ერთ ადამიანზე დავიყვანთ, საკმაოდ მოკრძალებულია. ამასთან, კერძო აუდიტორები იღებენ გაცილებით მაღალ შემოსავალს, ვიდრე შემოსავლების სამსახურის აუდიტორები და ჩვენ ხომ არ გვინდა, რომ შემოსავლების სამსახურში გვყავდეს არაკვალიფიციური თანამშრომლები?! ჩვენ კონკურენცია უნდა გავუწიოთ კერძო სექტორს ამ მიმართულებით, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.**

**ინტერპრესი**

◉ წყალბურთი

# მასპინძელთა ჰეთ-თრიქი



**თბილისის „ოლიმპიკის“ აუზში მესამედ გაიმართა მელბურნის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორის ნოდარ გვახარიას თასის გათამაშება. ამჯერად საერთაშორისო ტურნირში საქართველოს, პოლონეთის, უკრაინისა და ყაზახეთის 1998-1999 წლებში დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა გუნდები მონაწილეობდნენ. წინა ორ შეჯიბრებაში მთავარი პრიზი მასპინძლებმა მოიპოვეს.** საქართველოს ნაკრებმა (ნიკა ლეთოდიანი, გიორგი ადეიშვილი, გიორგი ღავთაძე, გიორგი თეთრაძე, ნიკა ცანკაშვილი, სანდრო ადეიშვილი, ვაჟა ფურცელაძე, ნიკა შუშიაშვილი, გიორგი მესხი, გიორგი მაგრაქველიძე, მიხეილ გვენცაძე, დათო ჯულაშვილი, ნიკა ჩხიკვიშვილი, ნუგო სებისკვერაძე, დათო ივანიშვილი, მწვრთნელები — ირაკლი კიკალიშვილი, ოთარ ქოიავა) ამჯერადაც არავის დაუთმო პირველობა. ასპარეზობის სტარტზე ქართველებმა უკრაინელებს აჯობეს — 18:11, ყაზახებმა პოლონელებს მოუგეს — 10:3, მეორე დღეს ჩვენებმა პოლონელები დაამარცხეს — 12:4, ყაზახებმა — უკრაინელები 14:10. მასპინძელთა და აზიელების გადამწყვეტი ორთაბრძოლა ფრედ — 6:6 დამთავრდა და ბურთების უკეთესი სხვაობით მთავარი პრიზი საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა. მეორე ადგილი ყაზახებს ერგოთ. მესამე ადგილისთვის პაექრობაში პოლონელებმა უკრაინელები დაჯაბნეს.

**ლექსო ცინცაძე**

◉ ცურვა

# სამი ოქრო და ერთი ბრინჯაო

**ავსტრიის დედაქალაქ ვენაში დამთავრდა მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 500-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა.** საქართველოდან ორმა სპორტსმენმა იასპარეზა ირინა მინჟულინას ხელმძღვანელობით. განსაკუთრებით ახალგაზრდებში ევროპის პირველობის მესამე პრიზიორმა ირაკლი ბოლქვაძემ იყოჩაღა — იგი სამჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე: 200 (2.09,43) და 400 მეტრზე (4.38,99) კომპლექსურ ცურვასა და 200 მეტრზე ბრასით (2.21,28) ბოლქვაძემ ოქროს მედლები დაიმსახურა. 200 მეტრზე თავისუფალი ყაიდით (1.56,38) ბრინჯაოს მედალს დასჯერდა დავით სიხარულიძე, რომელიც ამავე ყაიდით 100 მეტრზე (53,12) მეოთხე იყო.

**ლაშა დიდია**



**სურათზე: მარცხნიდან — ირაკლი ბოლქვაძე, ირინა მინჟულინა, დავით სიხარულიძე.**

◉ უმიკროფონოდ

# მას რომ სათქმელი დაუგროვდა...

## ვივა, კასილიას!

**კვირას, შუადღისას, იოჰანესბურგის ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ ადგილზე — სანდეტონზე მივედი, სადაც უცხოელი ტურისტები ყველაზე მშვიდად გრძნობენ თავს. აქ ნელსონ მანდელას ძეგლი დგას, აქვეა სასტუმროებისა და მოდური მაღაზიების უზარმაზარი კომპლექსი.**

აფრიკული სუვენირების მაღაზიაში ესპანეთის პრინცი ფელიპე და მისი ერთ-ერთი პირადი მცველი შემოვიდნენ. მე უკვე გამოვდიოდი, მაგრამ შევჩერდი და ცოტა ხნის შემდეგ პირად მცველს მივმართე, ვკითხე, შეიძლებოდა თუ არა პრინცისათვის ავტოგრაფი მეთხოვა, რითაც ძალიან გავახარებდი ერთ ჩემს ახლობელს. პირადმა მცველმა ესპანელებისათვის დამახასიათებელი ტაქტით ამიხსნა, რომ ეს შეუძლებელი იყო, ისევე როგორც ფოტოს გადაღება. მე კი თვალწინ წარმომიდგა ინფანტი ფელიპე, რომელიც 1981 წლის ბოლოს ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის



ფინალური ტურნირის წილისყრის საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობდა... ის ვიდეორეპორტაჟი „სპორტულ კალეიდოსკოპში“ ვაჩვენე ტელემაყურებლებს.

პრინცი წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცია და იერით მაშინვე იკერ კასილიასი გამახსენა. თუ ესპანელებმა ამაგის ღირსეულად დაფასება იციან, მართლაც უნდა აღმერთებდნენ კასილიასს, რადგან ახლაც ის იყო ესპანეთის ნაკრების უპირველესი მოთამაშე, სწორედ მისი დიდი ოსტატობის წყალობით გავიდა ესპანელთა გუნდი ფინალში და მოიგო კიდეც გადამწყვეტი მატჩი. იმ საღამოს „სოკერ სიტის“ სტადიონზე სწორედ კასილიასმა იხსნა ესპანელთა კარი სრულიად უიმედო სიტუაციაში, თორემ შესაძლოა გამარჯვება დარჩენოდა ჰოლანდიის ნაკრებს, რომელიც არათუ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, არამედ ჩემი შეხედულებით ოთხეულში მოხვედრასაც არ იმსახურებდა: იბრძოდა დაუნდობლად (როგორც თითქმის ყოველთვის), მეტოქისადმი ღირსეული დამოკიდებულების სრული უგულებელყოფით, რაც განსაკუთრებით ფინალმა დაადასტურა.

რა შეიძლება ითქვას ახალ მსოფლიო ჩემპიონზე? პირადად მე ორი წლის წინანდელი ევროპის ჩემპიონები უფრო მომწონდა — ესპანეთის ნაკრების თამაშის ხასიათი, მანერა, ტაქტიკა სიახლე იყო მაშინ, ისევე როგორც „ბარსელონისა“. ახლა კი, ზოგჯერ მინი-ფეხბურთის პრინციპით თამაშს უფრო ვხედავდი, ვიდრე შემართულ, ვაჟკაცურ ბრძოლას მთელ მოედანზე, სწორედ იმას, რასაც თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ძალიან ვაფასებ.

და მაინც, VIVA ახალ მსოფლიო ჩემპიონს! იშვიათი ობიექტურობით დასახელდნენ პერსონალური ლაურეატებიც, მესამე და მეოთხე ადგილებიც ღირსეულმა გუნდებმა დაიკავეს და ალბათ დიდხანს ვინანებ, რომ პორტ-ელიზაბეტში ვერ წავედი ურუგვაისა და გერმანიის მატჩის სანახავად...

*13 ივლისი 2010.*

## სიურპრიზი თუ კანონზომიერება?

**მხოლოდ ორი კვირა გავიდა ფიფას მსოფლიო თასის გათამაშების დამთავრებიდან და თითქოს უკვე შორეულ წარსულს უერთდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სტადიონებზე გამართული მატჩების პერიპეტიები. ყოველ შემთხვევაში, მე სწორედ ასეთი განცდა მეუფლება და მის ახსნას იმ გარემოებითაც ვცდილობ, რომ აქაც, ისევე როგორც არგენტინაში, ესპანეთსა და მექსიკაში, ჩემპიონატის მხოლოდ დასკვნით ნაწილს დავესწარი. 1990-2006 წლებში ხუთ ფინალურ ტურნირზე პირველი დღიდან ბოლომდე ვიყავი და, ბუნებრივია, უშუალოდ სტადიონებზე მხოლოდ ჩემთვის სასურველ მატჩებს ვუყურებდი, თანაც ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობისას აღარც უინტერესო მატჩების ტელერეპორტაჟების ნახვა მიწევდა.**

თითქოს არც ისე დამაჯერებელი არგუმენტია რაც მოგახსენეთ, მაგრამ არა მარტო უმძიმეს დატვირთვად მომეჩვენა იმ 56 მატჩის ტელერეპორტაჟი, 30 ივნისამდე თბილისში რომ ვნახე, არამედ გადაჩვეულ სიტუაციაში ვგრძნობდი თავს და ჩემპიონატის რიტმს ვერ ავყევი. რასაკვირველია, აღმოჩენად არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ სულ სხვა განცდაა, როცა იქ იმყოფები, მატჩებს ესწრები, ყველაფერს ხედავ, უსმენ, ნაცნობ კოლეგებს ხვდები და, საერთოდ, მხოლოდ ფეხბურთით ხარ დაკავებული, თუნდაც იმ ქვეყანაში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ფეხბურთს არ მიიჩნევს ყველაზე საყვარელ სახეობად და მას რაგბის და კრიკეტს ამჯობინებს...

ფიფას აკრიტიკებდნენ, როცა XIX ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მასპინძლად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა გამოცხადდა, თუმცა, ყველას კარგად ახსოვდა, რომ სწორედ აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის დელეგატთა მხარდაჭერამ მოუტანა გამარჯვება იოზეფ ბლატერს ფიფას პრეზიდენტის სავარძლისათვის ბრძოლაში 1998 წლის ივნისში პარიზში გამართულ კონგრესზე.

ბლატერზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ ვიტყვი, რომ მისი მტრებიც კი ვერ უარყოფენ ფიფას ფინანსური შესაძლებლობების არნახულ ზრდას, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს გავიხსენოთ წინა პრეზიდენტი ჟოაო აველანჟიც, რომელმაც 24-წლიანი მმართველობის პერიოდში ფიფა უმძლავრეს საერთაშორისო ორგანიზაციად აქცია.



და მაინც, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ფინალური ტურნირის ჩატარების იდეას ბევრი ოპონენტი ჰყავდა. ვერ დაგიმალავთ, თუმცა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მეც თავიდანვე უკმაყოფილოთა თანამოაზრედ მივიჩნევდი თავს.

...იოჰანესბურგის აეროპორტიდან პრეტორიის გარეუბნის ერთ-ერთ ულამაზეს დასახლებაში მივედით. მანქანიდან როცა გადმოვედი, დიდ, გაშლილ ეზოში უამრავი გარეული ციცარი და ანტილოპა დასეირნობდა. ერთი კი გავიფიქრე, ზოოპარკში მომიწევდა ცხოვრება, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ეს საფრთხე არ მელოდა, როცა დავინახე, რომ თითქმის ყველა ეზოში გარეული ფრინველები და ანტილოპები მშვიდად გრძნობდნენ თავს. დურბანში ყოფნისას კი სახურავზე შემომსხდარი მაიმუნების ჭყივილი მაღვიძებდა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში უმდიდრესი ფაუნაა და მოსახლეობაც საკმაოდ ჭრელია.

იოჰანესბურგი ქვეყნის უდიდესი ქალაქია, რომელსაც ორი სტადიონი აქვს. აქ 14 მატჩი ჩატარდა და ცხადია, ყველაზე მეტი სტუმარი ამ ქალაქს ჰყავდა. სწორედ მათ ნახეს, რომ ევროპული წარმოშობის მოსახლეობა საგანგებოდ ზრუნავს უსაფრთხოებაზე, თავს არიდებს ქალაქის სახელგატეხილ რაიონებს და ამჯობინებს გარეუბანში ცხოვრებას, სადაც არა მხოლოდ კერძო სახლები, არამედ ზოგიერთი კვარტალიც კი კაპიტალური ღობით, მავთულხლართებითა და სპეციალური დაცვითაა იზოლირებული.

ძალიან მომეწონა საპორტო ქალაქი დურბანი — ევროპული სტილის ცენტრით, ხალხმრავალი სანაპიროთი და მართლაც უნიკალური სტადიონით, სადაც ესპანეთ — ურუგვაის ნახევარფინალური მატჩი ვნახე.

დედაქალაქ პრეტორიაში მუშაობს ქვეყნის მთავრობა და აქ არის პრეზიდენტის რეზიდენცია. ტელერეპორტაჟების დროს, ალბათ, არაერთხელ მოჰკრავდით თვალს პრეზიდენტ ჯეიკობ ზუმას, რომელმაც სკანდალურ არჩევნებში გაიმარჯვა, ახლაც პრესასთან პრობლემების წინაშე დგას, მაგრამ ერთგულად იცავს ზულუსების ტრადიციებს — ამჟამად ჰყავს 6 კანონიერი ცოლი, 20 ასევე კანონიერი და კიდევ უთვალავი არაოფიციალური (ნუ ვიტყვით უკანონოს — ზუმა ხომ პრეზიდენტია) შვილი. სხვათა შორის, ერთ—ერთი მათგანის დედა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ქალიშვილია.

რასაკვირველია, გახსოვთ, რომ არგენტინისა და გერმანიის მატჩს დაესწრო კანცლერი ანგელა მერკელი და როგორც გერმანიის ტელევიზიის ZDF-ის მუშაკებმა მითხრეს, ზუსტად ისე იყო გამოწყობილი, როგორც ოთხი წლის წინათ, როცა მერვედფინალში გერმანიამ არგენტინას მოუგო. რასაკვირველია, მე პასუხს ვერ ვაგებ ვინმეს გარდერობზე, მაგრამ როცა კეიპტაუნის „გრინ პოინტზე“ გერმანიამ 4:0 დაამარცხა არგენტინა და გახარებული კანცლერი პრეზიდენტ ზუმასაც გადაეხვია, იოჰანესბურგის „ელის პარკის“ სტადიონის პრესცენტრში, სადაც ტელერეპორტაჟს ვუყურებდი, იხუმრეს: ანგელა მერკელს ხომ არ დაავიწყდა, რომ მისტერ ჯეიკობ ზუმასთან დისტანციის დაჭერა აუცილებელიაო...

და რახან გერმანიის მატჩი ვახსენე, ჩემპიონატის მესამე პრიზიორზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ჩვენს ქვეყანას ხომ გერმანიასთან ყოველთვის გამორჩეული, განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა. აქ, რასაკვირველია, გასათვალისწინებელია პოლიტიკური მოტივებიც, მაგრამ სახელოვანი ქართველების თბილ დამოკიდებულებას ამ ქვეყნისადმი უფრო გერმანული პოეზია და დრამატურგია, მუსიკა, საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა განაპირობებდა. თუ გავიხსენებთ გერმანელთა მართლაც მისაბაძ შრომისმოყვარეობას, სამშობლოს სიყვარულს, შეუპოვრობას, მებრძოლ სულს, ერთი სიტყვით მათ უამრავ სასიკეთო თვისებას, სრულიად ლოგიკურად მეჩვენება, რომ გერმანული ფეხბურთიც ერის ღირსებების გამომხატველი გახდა და საქართველოშიც უამრავი თაყვანისმცემელი გაიჩინა. იმასაც აღვნიშნავთ, რომ გერმანელებმა სამ—სამჯერ მოიპოვეს მსოფლიოსა და კონტინენტის ჩემპიონის ტიტული... ვერაფერს იტყვი, ფაქტი ჯიუტია და ვერსად გაექცევი!

და მაინც, ობიექტურობისთვის უნდა გავიხსენოთ, რომ 1954 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის არბიტრი წაეხმარა დასავლეთგერმანელებს. მათს ნაკრებს უკავშირებდნენ მასტიმულირებელი პრეპარატების გამოყენებასაც და პრესაშიც მაშინ პირველად გაჩნდა სიტყვა „დოპინგები“ (და არა „დოპინგი“, რადგან ასეთი სახელწოდებები იმ პერიოდში სრულიად უცხო იყო); მოგეხსენებათ, მატჩის ბედი ზოგჯერ არბიტრის მხოლოდ ერთ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული და თუ 1954 წელს მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის აღორძინებაზე ცივილიზებული სამყარო ფიქრობდა, ზრუნავდა და დასავლეთ გერმანიის ნაკრების გამარჯვება ქვეყნის აღდგენის დამაჩქარებელ ფაქტორად სრულიად სამართლიანად ჩათვალეს (არავის აინტერესებდა უნგრეთის „დიდი გუნდის“ ბედი), 1990 წლის გამარჯვებისა და, საერთოდ, თითქმის მთელი ოცი წლის განმავლობაში გერმანიის ნაკრების სტაბილური შედეგების გარანტი ფიფას მალალჩინოსანი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი ჰერმან ნოიბერგერიც იყო, რომელიც, როგორც წესი, ფიფას მხრიდან ფინალური ტურნირების საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობდა.

ბუნებრივია, როცა გერმანულ ფეხბურთზეა ლაპარაკი, არავის ავიწყდება ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ: ფრიც ვალტერი, ბეკენბაუერი, მიულერი, ოვერატი, ნეტცერი — ეს სია ამ ფეხბურთელებით არ მთავრდება, მაგრამ ისინი მაშინ თამაშობდნენ ყველასგან განსხვავებულად, გამორჩეულად და შექმნეს გერმანული ფეხბურთის სტილი, რომელიც მსოფლიო ფეხბურთსაც ამდიდრებდა.

სამხრეთ აფრიკიდან გადმოცემულ ერთ-ერთ მიმოხილვაში ყურადღება გავამახვილე გერმანიის ნაკრების თამაშის ახლებურ ხასიათზე, ახლებურ სტილზე. ჩემთვისაც და, ალბათ, სხვებისთვისაც მოულოდნელი იყო ასეთი ფეხბურთი ბუნდესტიმის შესრულებით. ვფიქრობ, გერმანიის ნაკრების სახეცვლილება ამ გუნდში მიგრანტთა შვილების თუ შვილიშვილების მომრავლებითაც უნდა აიხსნას.

და როცა დღევანდელი ნაკრების თამაშის ხასიათს მესუთ იოზილი განსაზღვრავს და როცა მასთან ერთად მოედანზე გამოდიან ბოატენგი, ჰედირა, პოდოლსკი, კლოზე — ტექნიკურ, თვალისათვის სასიამოვნო ფეხბურთს კი ვუყურებთ, მაგრამ ეს ხომ აღარ არის შემართული, ბოლომდე მებრძოლი, შეურიგებელი ფეხბურთი, რომელსაც ტრადიციულად თამაშობდა გერმანიის ნაკრები.

რასაკვირველია, საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩენის პირველ წლებშიც გერმანიის ნაკრებში იყვნენ და კარგადაც თამაშობდნენ მიგრანტთა წარმომადგენლები (უმეტესად პოლონელები — ე.წ. „მაზურები“), ასე იყო მომდევნო პერიოდებშიც, მაგრამ ასე მრავლად არასოდეს! ცხადია, გერმანელთა საქმეა, რომელი გზით წავა მათი ფეხბურთი. ჩემთვის, თუმცა გერმანული ფეხბურთის მეხოტბე არასოდეს ვყოფილვარ, გულდასაწყვეტი იქნება, თუ მათი ტრადიციული სტილი მკვეთრად შეიცვლება, თუ იგი დაკარგავს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სახეს, რაც, ეჭვი არ მეპარება, მსოფლიო ფეხბურთს უფრო გაალარიბებს...

**დავით ქლიბაძე**
*26 ივლისი 2010.*

*დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ №110.*

## ინტერნეტსივრცე

# „ფეისბუქი“ და სხვები

**ინტერნეტის ქსელმა დედამიწის უკლებლივ ყველა ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დიდი ხანია, მოიცვა, თუმცა, მისით სარგებლობის დონე ყველა მხარეში, გნებავთ, ცალკეულ ქვეყანასა და რაიონებშიც კი ერთმანეთისგან განსხვავებულია. ინტერნეტით სარგებლობის ინტენსიფიკაციის მხრივ, მსოფლიოში პირველ ადგილზე, რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული ქვეყნები კი არა, ერთი ციდა ისლანდიაა, სადაც მსოფლიო ქსელში რეგულარულად მოსახლეობის 95 პროცენტია ჩართული. რა მდგომარეობაა ჩვენთან?**

ქვეყანაში მოსახლეობის მიერ ინტერნეტით სარგებლობის დონის დასადგენად „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა“ ფონდ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დაკვეთით სათანადო გამოკვლევა ჩაატარა, რა მიზნითაც 18 წელს ზემოთ დაახლოებით ორი ათასი კაცი გამოიკითხა. გამოკვლევით დადგინდა, რომ **18-დან 35 წლამდე ასაკის ახალგაზრდების ნახევარზე მეტი ინტერნეტით ყოველდღე სარგებლობს. ამასთან, ისიც გაირკვა, რომ ამავე ასაკობრივ ჯგუფში მოქალაქეთა 20 პროცენტზე მეტი ინტერნეტს საერთოდ არანაირი მიზნით არ იყენებს. საქართველოს მოქალაქეთა 36-55 წლის ასაკის ჯგუფში გამოკითხულთა ნახევარი, ასევე 56 წელს გადაცილებულ პირთა შორის 75 პროცენტს ინტერნეტთან წვდომა საერთოდ არა აქვს.**

ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობაა დედაქალაქსა და რეგიონის მოსახლეობას შორისაც: **თბილისში ინტერნეტს სხვადასხვა სიხშირით გამოკითხულთა 77 პროცენტი მოიხმარს, დანარჩენები კი მას საერთოდ არ იყენებენ. სოფლად ეს აშკარად არასახარბიელო მაჩვენებლები კიდევ უფრო არასახარბიელოა: ინტერნეტს სხვადასხვა სიხშირით იყენებს რესპონდენტთა 28 პროცენტი, 63 პროცენტს მასთან არანაირი „ურთიერთობა“ არა აქვს, ხუთი პროცენტისთვის კი საერთოდ უცნობია, თუ რას წარმოადგენს ინტერნეტი.**

ასაკობრივი განსხვავების გარდა, მომხმარებელთა შორის ინტერნეტით სარგებლობის ინტენსივობის მხრივ განსხვავება სხვა ნიშნების მიხედვითაც დადგინდა. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ **სხვებზე უფრო ხშირად ინტერნეტით დასაქმებული პირები სარგებლობენ.** ისინი მსოფლიო ქსელს უმუშევრებზეც და, ეგრეთ წოდებული „არააქტიური შრომითი რესურსის“ წარმომადგენლებზეც მეტად იყენებენ, რომელშიც სტუდენტები, დიასახლისები, პენსიონერები და სხვ. შედიან. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ **დასაქმებულთა შორის ყოველი მეხუთე ინტერნეტს საერთოდ არ იყენებს.**

გამოკვლევის ავტორებმა ისიც დაასკვნეს, რომ ინტერნეტით სარგებლობის დონის დინამიკა პირის განათლების დონესაც უკავშირდება. კერძოდ, **არასრული ან სრული უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების დაახლოებით ნახევარი ინტერნეტს ამა თუ იმ მიზნით ყოველდღე მოიხმარს, თუმცა კი, მათ შორის 25 პროცენტს იგი არასდროს არ გამოუყენებია. გაცილებით უფრო არასახარბიელო სურათია ამ მხრივ ტექნიკური განათლების მქონე პირთა შორის, რომელთაგან ინტერნეტზე წვდომა 60 პროცენტს საერთოდ არა აქვს (?!).**




აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხულთა მესამედი (უმეტესად, ახალგაზრდები) ინტერნეტს გასართობი პროგრამების, კინოფილმების, შოუების, სპორტული ასპარეზობების და ა.შ. საყურებლად იყენებენ, 30 პროცენტი მას ნაცნობ-მეგობრებთან კომუნიკაციის დამყარების მიზნით მოიხმარს, 16 პროცენტი ინტერნეტსივრცეში უშუალოდ პროფესიულ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხთან გასარკვევად შედის, ამდენივე ადამიანი მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას ეცნობა, ხოლო 5 პროცენ.ტი ამას რაღაც სხვა მიზნებისთვის იყენებს.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოში ინფორმაციის ძირითად წყაროდ ინტერნეტი გამოკითხულთა შორის ყოველმა მეხუთე რესპონდენტმა დაასახელა. ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ **ინტერნეტს ინფორმაციის მისაღებად არც უფროსი ასაკის, არც უმუშევრები, არც სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (90 პროცენტი) არ იყენებს.**

მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ ინტერნეტის სოციალურ ქსელებს შორის **საქართველოში ყველაზე პოპულარულია „ფეისბუქი“, რომელშიც გამოკითხულთა 20 პროცენტზე მეტი კვირაში ერთხელ მაინც შედის.** ამავე დროს, რესპონდენტთა 18 პროცენტი სოციალური ქსელის „ოდნოკლასნიკის“ მომხმარებელია, ხოლო, რაც შეეხება „ტვიტერს“, მისით კვირაში ერთხელ ჩვენში ინტერნეტის მომხმარებელთა 3 პროცენტი ინტერესდება. ამასთან, კვლევის ავტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ჩვენში სოციალური ქსელის **„ფეისბუქის“ დიდი პოპულარობა გაცილებით მაღალია მოსახლეობის დასაქმებულ ნაწილში,** უმუშევართა შორის კი მისი მოხმარების დონე ისეთივეა, როგორც „ოდნოკლასნიკებისა“.

„კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ აღნიშნული გამოკვლევა, ბუნებრივია, ერთობ საინტერესოა, თუმცა კი, ისიც ცხადია, რომ მიღებული შედეგი სურათს მთელი სისრულით არ წარმოაჩენს, ამდენად, ამ მიმართულებით შემდგომი მუშაობა მეტ სარგებელს მოიტანს, რისთვისაც ინტერნეტის გამოყენების სწავლების გაცილებით გააქტიურება, მოსახლეობისთვის იაფიანი ტექნიკის ხელმისაწვდომობის დონის გაზრდაა საჭირო. რაც, ალბათ, უკვე არა სახელდობრ ინტერნეტ-სივრცის, არამედ სერიოზული სოციალური პრობლემაა.

**ოთარ ტურაბელიძე**

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები, თემურ, ანიკო კუჭუხიძეები სამძიმარს უცხადებენ ზურაბ, ციცო მსხვილიძეებს მძახლის

**სულიკო ივანეს ძე გაგუას**

გარდაცვალების გამო.

## ინფორმაცია

2014 წლის 6 აგვისტოს, 15 საათზე, ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეს გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება საერთაშორისო მნიშვნელობის ხაშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო გზის 93-ე კმ-ზე მდ. ფოცხოვზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდზე:** www.georoad.ge
- **ქალაქ ვალეს გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია).**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მითითებულ საკონტაქტო პირებს: ლუიზა ბუბაშვილს; ტელ: 595219141 likabubashvili@yahoo.com და რევაზ ენუქიძეს 599164469.

**საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.**

2014 წლის 7 აგვისტოს, 15 საათზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსას გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის კმ42,000-კმ51,750 მონაკვეთის მშენებლობის პროექტის გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდზე:** www.georoad.ge
- **სოფ. სუფსას გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია).**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მითითებულ საკონტაქტო პირებს: ლუიზა ბუბაშვილს; ტელ: 595219141 likabubashvili@yahoo.com და მედგარ ჭელიძეს 599162221.

**საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.**

# ჟურნალისტები მედეა ვასაძეს უჩივიან

**ბათუმში, ევროპის მოედანზე შეკრებილმა 13 მედიასაშუალების წარმომადგენელმა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის , ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის ხელმძღვანელის მედეა ვასაძის მიერ „ტელეარხ 25“-ის ჟურნალისტისადმი მიმართული შანტაჟი და მუქარა გააპროტესტა.**

„არა შანტაჟის ენას!“, „დაიცავი ადამიანების უფლებები!“, „გამოიძიეთ ჟურნალისტებზე შანტაჟის ფაქტები!“ „დეპუტატის მანდატი – პასუხისმგებლობა!“ „წაიკითხეთ კონსტიტუცია!“ – ჟურნალისტების ამ გზავნილების ადრესატები საქართველოს პროკურატურა და აჭარის უმაღლესი საბჭო არიან. ჟურნალისტები პროკურატურას საქმის გამოძიების მოთხოვნით მიმართავენ, ხოლო უმაღლეს საბჭოს სათანადო რეაგირებისკენ მოუწოდებენ.

„ტელეარხ 25“-ის პროდიუსერი ირმა ზოიძე გადაწყვეტილებების მიმღები პირებისგან მედეა ვასაძის უფლებამოსილების შეწყვეტის დაყენებას ითხოვს.

როგორც გაზეთ „ბათუმელების“ რედაქტორი ეთერ თურაძე აცხადებს, მიუღებელია, როცა რეგიონის ნომერ პირველი უფლებათა დამცველის მხრიდან უფლებების დარღვევაზეა საუბარი.

„რადიო თავისუფლების“ რეგიონული კორესპონდენტი ნატა იმედაიშვილი აღნიშნავს,




რომ ჟურნალისტების ერთიანობით და თანმიმდევრული ქმედებებით სასურველი შედეგის მიღწევა შესაძლებელია.

ჟურნალისტების აქციას ევროპის მოედანზე აჭარაში მოქმედი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატ მედეა ვასაძესა და ჟურნალისტ ჯაბა ანანიძეს შორის სკანდალური სატელეფონო საუბარი ჟურნალისტმა ორი დღის წინათ გაასაჯაროვა.

როგორც ჟურნალისტი ჯაბა ანანიძე აცხადებს, დეპუტატის მხრიდან მუქარის შემცველი სატელეფონო ზარი მასთან მას შემდეგ გაისმა, რაც ეთერში მის მიერ მომზადებული საგამოძიებო ფილმი „უმაღლესი კომფორტით“ გავიდა.

საგამოძიებო ფილმი „უმაღლესი კომფორტით“ აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ გაწეულ ხარჯებსა და საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობას ეხებოდა.

## ინფორმაცია

### „ზიმო“ ფოთელ მშენებლებს ხელფასს უგვიანებს

**ფოთში დევნილებისთვის განკუთვნილი კორპუსების მშენებლობაზე დასაქმებულმა პირებმა მუშაობა შეწყვიტეს. ისინი ორი თვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას ითხოვენ.**

**მათი თქმით, ანაზღაურება აპრილის თვიდან არ მიუღიათ. „გვატყუებენ, ცრუ დაპირებებს გვაძლევენ, ჩვენ ვითხოვთ კუთვნილ თანხას, მოგვაქციოს მთავრობიდან ვინმემ ყურადღება“, – აცხადებენ მუშები.**

**მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით, მშენებლობას ფირმა „ზიმო“ ახორციელებს. როგორც ფირმის წარმომადგენლები განმარტავენ, პრობლემა გადმორიცხვასთან დაკავშირებით შეიქმნა, ისინი ირწმუნებიან, რომ მუშები კუთვნილ ხელფასებს უმოკლეს ვადებში მიიღებენ.**

### სტიქია წალკას უტევს

**წალკაში ძლიერმა სეტყვამ საკარმიდამო ნაკვეთები, ხეხილი და ავტომანქანები დააზიანა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ წალკის გამგეობაში განუცხადეს , ძლიერი სეტყვა და წვიმა წალკასა და სოფელ ტბეთში რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდებოდა.**

**სტიქიის შედაგად მიყენებულ ზარალს გამგეობაში არსებული სპეციალური კომისია დაითვლის.**

**ადგილობრივები ამბობენ, რომ მთლიანად განადგურებულია ხეხილი და კარტოფილი.**

**მოსახლეობა ხელისუფლებისგან სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვს.**

### საქართველოს მოქალაქე ბელორუსში თვითმფრინავის გატაცებას ცდილობდა

**ბელორუსიის უშიშროების სამსახურმა საქართველოს მოქალაქე დააკავა, რომელიც ქუთაისი-მინსკის თვითმფრინავის გატაცებას აფეთქების მუქარით ცდილობდა. როგორც რუსული მედია წერს, საქართველოს მოქალაქე თვითმფრინავის ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის მიმართულებით გატაცებას გეგმავდა.**

**თვითმფრინავის ბორტზე 32 მგზავრი იმყოფებოდა, მათ შორის, ერთი მცირეწლოვანი ბავშვი.**

**მფრინავების პროფესიონალიზმის შედეგად, თვითმფრინავი ბელორუსიის საერთაშორისო აეროპორტ „მინსკში“ დაეშვა.**

**საქართველოს მოქალაქესთან, რომელიც 1973 წელს არის დაბადებული, მოლაპარაკება შედგა და ის დათანხმდა თვითმფრინავის ბორტი დაეტოვებინა. ამის შემდეგ საქართველოს მოქალაქე სამართალდამცავებს ჩაბარდა.**

**მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.**

**ინტერპრესი**

## ჩვენი კარაბადინი

### წითელამ კიბო გაანადგურა

**ავადმყოფი ქალი წითელას ვირუსის გიგანტური დოზის ინიექციის შემდეგ ძვლის ტვინის კიბოს მეტასტაზებისგან გათავისუფლდა. სისხლის კიბოს მკურნალობის ეს არაჩვეულებრივი მეთოდი ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიყენეს.**

ორმოცდაათი წლის სტეისის აწუხებდა სიმსივნე, რომელიც წითელი ძვლის ტვინის უჯრედებისგან – მიელომებისაგან – გაჩნდა. მიუხედავად ქიმიოთერაპიისა და უჯრედების ტრანსპლანტაციის ორი ოპერაციისა, მეტასტაზები კვლავ იზრდებოდა, აი, ვირუსზე ასეთი ოდენობის ზემოქმედების შემდეგ, რაც 10 მილიონი ადამიანის ვაქცინაციას ეყოფოდა, ის უკეთ გახდა.



ვირუსი დასუსტდა და იზრდებოდა უჯრედოვან კულტურა HELA-ზე: როდესაც ვირუსი უჯრედების შიგნით იზრდება, რომლებსაც იგი ბუნებაში არ აზიანებს, ყოველი თაობის შემდეგ ნაკლებად სახიფათო ხდება ადამიანის იმუნური სისტემისათვის. ფაქიზმა გენეტიკურმა მოდიფიკაციამ კი ვირუსი გახადა იმ მიდრეკილებისა, რომ დაასნებოვნოს სტეისის სწორედ სიმსივნის უჯრედები. სიმსივნის უჯრედში გამრავლების შემდეგ წითელას ვირუსის ნაწილები ანგრევდნენ მას შიგნიდან და სიმსივნე იშლებოდა.

მაგრამ ვირუსის უდიდესი დოზა – ავადმყოფის იმუნური სისტემისთვის სერიოზული გამოცდაა, ამიტომ ასეთი მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნეს შეზღუდულად.

### მეორე ახალგაზრდობა

**თანამედროვე ევროპის მცხოვრები ქალისთვის საუკეთესო ასაკი – 52 წელია, მიაჩნიათ ბრიტანელ სოციოლოგებს.** ცხოვრების სწორედ ამ პერიოდში რწმენა საკუთარი ძალებისა საშუალებას აძლევს შესანიშნავი სქესის წარმომადგენლებს, სხვაგვარად შეხედონ თავიანთ თავს და გარშემომყოფელებს, უჩნდებათ მისწრაფება შეცვალონ ბევრი რამ, მათ შორის ვარცხნილობა, ტანსაცმელი, საცხოვრებელი ადგილი და ცხოვრების თანამგზავრიც კი. როგორც მკვლევარებს მიაჩნიათ, დასავლეთი ევროპის მცხოვრებლებს 52 წლის ასაკში მეორე ახალგაზრდობა ეწყებათ.

### დღეგრძელის კოდი

**ქალის სისხლში, რომელმაც 115 წელი იცოცხლა, ირლანდიელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ტანის უჯრედების კლონები, რომლებსაც მის დღეგრძელობასთან ურთიერთობა აქვთ.**

ვარაუდით ადამიანის სიცოცხლე დამოკიდებულია ტანის უჯრედების უნარზე – ყოველდღე განაახლოს ორგანიზმის ქსოვილები. როგორც კი ტანის უჯრედები იფიტება, სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ქსოვილები უკვე აღარ აღდგება. ჩვენ ვიბადებით დაახლოებით 20 ათასი სისხლისწარმომქმნელი ტანის უჯრედით, მათგან დაახლოებით 1000 აქტიურია, ანახლებს ჩვენ სისხლს. წლების განმავლობაში ტანის აქტიური უჯრედების რიცხვი მცირდება, მათი სხეულსაზომები კი (ქრომოსომების ბოლოები, რომლებიც სულ უფრო და უფრო მოკლეები ხდება, როდესაც უჯრედი იყოფა) მოკლდება იმ ზომამდე, რომ დაყოფა აღარ შეუძლიათ.

დღეგრძელი ქალბატონის უნიკალური თავისებურება იყო არა მხოლოდ ის, რომ მის ორგანიზმში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აქტიურად მუშაობდნენ ტანის უჯრედები, არამედ ისიც, რომ სისხლის მუტაცია მისი უჯრედების შიგნით იყო უვნებელი, სხეულის „დედა" უჯრედები იყოფოდა კლონების შექმნისთვის, რომელთაგანაც მუდმივად ახლდებოდა მისი სისხლი. ეს გამოკვლევები იმედს აძლევს მეცნიერებს, განაახლონ ჩვენი სიბერისკენ მიმავალი სხეულები საკუთარი ტანის უჯრედების ონიექციების საშუალებით, რომლებიც შემონახულია დაბადების მომენტიდან ან სიცოცხლის ადრეული წლებიდან.

ЗДОРОВЬЕ

### გამოკითხვა

**თქვენი ოჯახი ამჟამად რა მიზნით ზოგავს სახსრებს და ან რას გააკეთებდა, შესაძლებლობა რომ ყოფილიყო?**

27 პროცენტი – „შავი დღისთვის"
26 პროცენტი – ბინის, სახლის შესაძენად
24 პროცენტი – ყოველი შემთხვევისათვის, მარაგად
21 პროცენტი – სამკურნალოდ
16 პროცენტი – დასვენებისთვის, გართობისთვის, მოგზაურობისთვის
12 პროცენტი – განათლებისთვის
10 პროცენტი – ავტომობილის საყიდლად
10 პროცენტი – სამუშაოს დაკარგვის შემთხვევისთვის
9 პროცენტი – ძვირფასი ნივთების, ტექნიკის შეძენისთვის
4 პროცენტი – რომ გავზარდოთ ჩვენი სახსრები (მივიღოთ პროცენტები, დივიდენდები)
4 პროცენტი – სხვა მიზნებისთვის
4 პროცენტი – არანაირი მიზნებისთვის დანაზოგებს არ შევიქმნიდი
4 პროცენტი – მიჭირს პასუხის გაცემა
3 პროცენტი – საკუთარი საქმისთვის, აქციების შესაძენად

სულ გამოკითხვაში 1600 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

## მცირე ენციკლოპედია

### ამჯერად ქართული კომპანიების გარეშე...

**საქვეყნოდ ცნობილი ანალიტიკური კომპანიის „მილვორდ ბრაუნის" სპეციალისტთა შეფასებით, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ბრენდია ინტერნეტ-საძიებო სისტემა „გუგლი".**



რეიტინგული მონაცემებით, ბოლო ერთი წლის მანძილზე ამერიკული კომპანიის ღირებულებამ 40 პროცენტით მოიმატა და ამჟამად დაახლოებით 160 მილიარდ დოლარს გაუტოლდა.

„მილვორდ ბრაუნის" ექსპერტთა აზრით, რეიტინგში მეორე ადგილი ბოლო სამი წლის მანძილზე მისი უცვლელ ლიდერს „ეფლს" ეკუთვნის, რადგან ბოლო დროს მისი აქციების ღირებულება 20 პროცენტით შემცირდა და ახლა ბრენდის ღირებულება „მხოლოდ" 148 მილიარდი დოლარია.

ყველაზე ძვირადღირებულ ბრენდთა ლიდერი სამეულის ჩამკეტია თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროს წარმომადგენელი კიდევ ერთი კომპანია IBM, რომლის ბრენდის ბოლოდროინდელმა გაიაფებამ 4 პროცენტი შეადგინა, რის შედეგად მისმა ფასმა 107 მილიარდ დოლარამდე დაიწია.

ამერიკელ ანალიტიკოსთა შეფასებით, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ბრენდების ღირებულებამ ბოლო ერთი წლის მანძილზე 12 პროცენტით მოიმატა და სადღეისოდ 2,9 ტრილიონ დოლარია.

### ინდიელი სკვო – ისლანდიელთა დიდი ბებია

**ამერიკის კონტინენტი კოლუმბს რომ არ აღმოუჩენია, ეს დიდი ხანია ცნობილი ამბავია. კოლუმბამდე სულ მცირე 500 წლით ადრე ვიკინგები ვინლანდად ცნობილ ადგილებში ჩადიოდნენ და იქიდან ცოცხალი ნადავლი ჩამოჰყავდათ.**

ისლანდიის მოსახლეობის დნკ-ს შესწავლამ აჩვენა, რომ მათ დაახლოებით 80 პროცენტს ინდიელთა გენები აქვთ. ეს ჩრდილოეთ ამერიკის ძირძველი მოსახლეობის, რომლებსაც, ზოგჯერ, წითელკანიანებს ვუწოდებთ, გენებია, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა.



კვლევის ერთ-ერთი ავტორის კარლეს ლა ლუეზა-ფოქსის, ესპანეთის პომპეუ ფარბას უნივერსიტეტის პროფესორის ცნობით, ამ გენების პირველწყაროა ინდიელი ქალი, რომელიც კუნძულზე დაახლოებით ათასი წლის წინათ მოხვდა და იქ შთამომავლობა დატოვა. მას შემდეგ 40 თაობა შეიცვალა, რა დროსაც ყოველთვის გოგონები იბადებოდნენ. სწორედ ეს გოგონები გახდნენ ინდიელთა გენების მატარებლები, რომლებიც დედის ხაზით გადაიცემოდა. საქმეს გარკვეულწილად ის გარემოება ართულებს, რომ ამის დოკუმენტური მოწმობები არ არსებობს, ხოლო კოლუმბიის შესახებ ის კია დანამდვილებით ცნობილი, რომ ამერიკამდე მან, სულ მცირე, ოთხჯერ მაინც მიაღწია.

კარლესის აზრით, სავსებით შეესაბამება სიმართლეს მრავალრიცხოვანი ლეგენდები, რომ ძველი ვიკინგები ამერიკამდე აღწევდნენ. თანაც მარტო ჩრდილოეთ ნაწილს კი არა, არამედ სამხრეთსაც, თანაც 1492 წლამდე დიდი ხნით ადრე, რასაც სკანდინავიური და ინდიელთა გენების ნაზავი მოწმობს.

## ცინცხალი ანეკდოტები

– **თუ** კიდევ თუნდაც ერთხელ მაკოცებ, სამარადჟამოდ შენი ვიქნები, – ეუბნება გოგო ბიჭს.
– დიდი მადლობა გაფრთხილებისთვის...

* * *

**ტიპი** ყოველდღე მიდის გაზეთების ჯიხურთან, ყიდულობს ახალ გაზეთს, ათვალიერებს პირველ გვერდს, მერე გაცოფებული ხევს და ურნაში ყრის ნაკუწებს.
– თუ შეიძლება, მითხარით, რას ეძებთ ასე გამწარებით პირველ გვერდზე? – ჰკითხა ერთხელაც მისი საქციელით განცვიფრებულმა გამყიდველმა.
– ნეკროლოგს.
– მაგრამ ნეკროლოგებს ბოლო გვერდზე ბეჭდავენ.
– იმისი ნეკროლოგი, ვის გვარსაც მე ვეძებ, პირველ გვერდზე დაიბეჭდება!!!



* * *

**გვიან** ღამით ქალაქის პარკის გავლით მიდის ქალი. უცებ ბნელი ხეივნიდან მამაკაცი გამოდის.
– ოი, როგორ შემაშინეთ. სექსუალური მანიაკი მეგონეთ.
– იფ, რამდენი მოგინდომებია. მე ძაღლს ვასეირნებ.

**რეკლამა**
**„საქართველოს რესპუბლიკაში"**
**299-62-77;**
**568 82-09-84..**

* * *

**ახალი** რუსის შვილი სკოლიდან დაბრუნდა:
– მამი, გამრავლების ტაბულა იცი?
– თითქოს ვიცი.
– აბა, რამდენია ორჯერ ორი?
მამა ჩანთაში იქექება, მერე კალკულატორს მოიმარჯვებს, რაღაც ჩანაწერებს აკეთებს...
– წესით ოთხია, მაგრამ თუ ბითუმად იღებენ – სამად მიეცი.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურამ ბოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24